# საქართველო

ყოველდღიური გაზეთი | კვირა, იანვრის 18 1920 წ. № 13 | ფასი 3 მან.


**კინო პალასი** | დიდებული დადგმა. საუცხოვო ანსამბლი: — ეკრანის ორი სიმშვენიერე

ელენე ლეონიდოვისა

(ცნობილი მარიამ მაგდალინელის სურათით)

ევა დორინგტონ მხატვრულ სალონის დრამაში

**ვნება და გამოცდა** (5 ნაწილად) ცეკვა „შიშველისა"

ე. ლეონიდოვის შესრულებით

მუსიკ. ილუსტრ. ნ ხუდიაკოვისა

---

**აპოლო** | სამშაბათიდან მხატვრული დადგმა 5 ნაწილად

## ზინდების დედოფალი

ნათამაშევი პარიზის ოპერის მსახიობთაგან.

მთავარ როლში ულამაზესი მილლა მორიე.

დ ა ს ა ს რ უ ლ ხ ა ნ ა ხ ა ო ბ ი თ ი

---

კინო-თეატრი ოლღას ქუჩა № 3. | **ფილმა** გაგრძელება გრანდიოზული დადგმისა

დღეს **ფილანტროპი** და **მეზღვაური სიმბადი**

ეპოქები 3 და 4 (6 ნაწ.)

## გრაფ-მონტე-კრისტო

ა. დიუმას უკვდავ რომანით

ძმ. „პატეს" ატელიეს გამოცემა.

---

## პირველ იანვრიდან გამოდის

ყოველ-დღიური საპოლიტიკო, საეკონომიო და სალიტერატურო გაზეთი

# საქართველო

1920 წ. (ყოველდღიური მეექვსე) 1920 წ.

გაზეთი არის ეროვნულ-დემოკრატიული მიმართულებისა, განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს ჩვენი ქვეყნის ეკონომიურ ცხოვრებას: ვაჭრობა-მრეწველობის და სასოფლო მეურნეობის წარმატებას, აგრეთვე საპროფესიო და სატექნიკო ცოდნათა გავრცელებას.

გაზეთში მონაწილეობენ ცნობილი პუბლიცისტები და მწერლები.

გაზეთს ყავს კორესპონდენტები ევროპაში და სპეციალი ტელეგრაფი - კორესპონდენტები საქართველოს ყველა ქალაქებსა და დაბებში, აგრეთვე ბათომში, აზერბაიჯანში, სომხეთში და ჩრდილო-კავკასიაში, რაც საშუალებას აძლევს მას მიაწოდოს მკითხველ საზოგადოებას ფართო ინფორმაცია, როგორც შინაური ცხოვრებისა, ისე უცხოეთის ვითარებისა.

პირველ იანვრიდან გაზ. „საქართველოს" გამომცემლობა იკისრა, თანახმად თბილისის ვაჭარ მრეწველთა დადგენილებისა, საგანგებოდ არჩეულმა კომიტეტმა. კომიტეტი მიმართავს თბილისისა და სხვა ქალაქების ვაჭარ-მრეწველთ განურჩევლად ეროვნებისა ამ თავითვე დაიკვეთონ მთელის წლით გაზ. „საქართველო" და ერთად შემოიტანონ ხვედრი ფული არა ნაკლებ ასი თუმნისა. ხელის მოწერა მიიღება: გაზეთის კონტორაში (დამფუძნებელი კრების ქ. № 5.) ქართულ კლუბში ნიკოლოზ წერეთელთან, სამეურნეო ბანკში პ. გოთუასთან, ამიერ კავკასიის ბანკში ი. ლორთქიფანიძესთან, პუშკინის ქუჩაზედ ალექსანდრე ძველელთან, წყნა ბაზარში იოსებ გვლესიანთან, რკინის გზის სადგურის რაიონში სესიაშვილების ქარხანაში—დავით კალანდაძესთან, მეორე ქართულ კლუბში დიმ. დუმბაძესთან, პლეხანოვის ქუჩაზედ სასტუმრო „წრე"-ში ნოე სიხარულიძესთან და ბორჯომის ქუჩაზედ ს. ზენდუკიძესთან, სავაჭრო პალატაში მიხ. ჯავახიშვილთან.

### გ ა ზ ე თ ი ს ფ ა ს ი:

| ერთი წლით | ნახევარ წლით | სამი თვით |
|---|---|---|
| 1000 მან. | 600 მან. | 300 მან. |

**მისამართი:** თბილისი, დამფუძნებელი კრების (ყ. სასახლის) ქუჩა № 5. ქართული ქარვასლა. ფოსტის მისამართი: თბილისი, ფოსტის ყუთი № 76. დეპეშის მისამართი: თბილისი „საქართველო".

---

წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების მთავარი გამგეობა აცხადებს საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეთა საყურადღებოდ, რომ კვირას, 18 იანვარს, დღის 12 საათზე, მამა დავითის ეკლესიაში, საქართველოს დამოუკიდებლობის მოკავშირე სახელმწიფოთა მიერ ცნობის გამო გადახდილ იქნება პანაშვიდი საქართველოს თავისუფლების მოტრფიალე პოეტების:

**ილიას, აკაკის** და საზოგადო მოღვაწის **დ. მიტრო უიფიანის**

სულის მოსახსენებლად 2722 2—2

---

თავზარდაცემულნი მარიამ ივანეს ასული ციციშვილისა, დარია ივანეს ასული გამყრელიძისა, დავით მეუღლით, კარპეს და სოლომონ (სანდრო) ივანეს ძენი, ივანე დავითის ძე მეუღლით ანნა ნიკოლოზის ასული—თაქთაქიშვილები უღრმესის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა, მეგობართა და ნაცნობთ მოულოდნელ ტრაგიკულად დაღუპვას ქ. ახალქალაქში მეთერთმეტე ათასეულის უფროსისას

**ივანე** (ივა) სოლომონის ძე პოლკ. **ყანჩელისას**

პანაშვიდი იქნება გადახდილი დღეს, იანვრის 18-ს, შუადღის 1-ნახევარ საათზე, ქვაშვეთის ეკლესიაში. დაკრძალვის დღე გამოცხადდება ცალკე. (2723 1—1)

---

ღრმად დამწუხრებული ქვრივი კნეინა ნინა თომას ასული შერვაშიძისა აუწყებს ნათესავთა და ნაცნობთ რომ დღეს, კვირას იანვრის 18 ს ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიაში გადახდილი იქნება წლის პანაშვიდი მათი ძვირფას და დაუვიწყარ ქმრის პოლკოვნიკ თავად

**მიხეილ ლევანის ძე შერვაშიძის**

სულის მოსახსენებლად პანაშვიდი დაიწყება დღის 1 საათზე. (2727 1—1)

---

კნ. ნადია თომას ასული და თავ. პლატონ გიორგის ძე წულუკიძე შვილებითურთ აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ რომ დღეს, 18 იანვარს, ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიაში გადახდილ იქნება წლის პანაშვიდი მათი ძვირფასი სიძის, პოლკოვნიკ თავად

**მიხეილ ლევანის ძე შერვაშიძის**

სულის მოსახსენებლად. პანაშვიდი დაიწყება 1 საათზე. (2727 1—1)

---

დესპინე ანტონის ასული, ოლღა თომას ასული, ეკატერინე ესტატეს ასული და მიხეილ თომას ძე დიდიანი აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ რომ დღეს, კვირას, 18 იანვარს, ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიაში გადახდილი იქნება წლის პანაშვიდი მათი ძვირფასი სიძის პოლკოვნიკ თავად

**მიხეილ ლევანის ძე შერვაშიძის**

სულის მოსახსენებლად. პანაშვიდი დაიწყება 1 საათზე. (2727 1—1)

---

ვაჟები ალექსანდრე და არსენ, ქალები ასინეთი, მართა, ბაისო და ლისა, რძლები ზინაიდა, ელენე და თამარ, შვილიშვილი აკაკი გობრონიძე აუწყებენ ნათესავთ, მეგობართ და ამხანაგთ, რომ გარდაიცვალა პირველთა დაუვიწყარი და დიდი მოამაგე დედა, მეორეთა ძვირფასი დედამთილი და უკანასკნელის აღმზრდელი ბებია

**ელისაბედ ლომთათიძისა**

პანაშვიდი დღეს ნაშუადღევის 2-ნახევარ ს. განოვის ქ., № 3, რის შემდეგ მიცვალებულს გაასვენებენ სადგურზე. დაკრძალვა ს. ბახვში (გურია), სამშაბათს, 20 იანვარს დღის 1 ს. (2725 1—1)

---

სტეფანე პეტრეს-ძე სტუროუა გულის მწუხარებით აუწყებს ნათესავებს და ნაცნობ მეგობრებს, რომ ხანგრძლივი და მძიმე ავადმყოფობის შემდეგ მიიცვალა მეუღლე მისი

**დ ო მ ნ ა**

ტირილი და დაკრძალვა მოხდება ქალ. სამტრედიაში სამშაბათს იანვრის 20-ს. 2726 1—1

---

ისიდორე, ანტონი, დავით სტუროუები და პირველი ორის მეუღლენი ნინო და აგაშა მწუხარებით აუწყებენ ნათესავებს და ნაცნობ მეგობრებს, რომ ქალ. სამტრედიაში მიიცვალა მათი აღმზრდელი და ნუგეში ბიცოლა

**დ ო მ ნ ა**

ტირილი და დაკრძალვა სამშაბათს, იანვრის 20-ს ქ. სამტრედიაში.

---

ღრმად დამწუხრებულნი დედა ნარიოხ, მამა ბესარი, ძმები, შერმადინ, თომა, ნიკიფორ, გიორგი, მისი ყრუშაძენი, დაი მატრონე, სიძე გერასიმე სულავა, რძლები ფელოსი, მაშო, პოლია, ვერა, და ნადია აცნობებენ ნათესავთ და ნაცნობებს უდროოდ გარდაცვალებას ქ. თბილისში რკინის გზის საავადმყოფოში 15 იანვარს

**კვირიკეს ერასტისას**

რომლის დაკრძალვა მოხდება ქ. ლანჩხუთში სამშაბათს, იანვრის 20-ს წმ. გიორგის ეკლესიის სასაფლაოზე. 2732 1—1

---

ღრმად დამწუხრებული ოლიმპიადა ოტიას ასული და ალექსანდრე გიორგის ძე ერისთავები შვილებით, აუწყებენ ნათესავთა და მეგობართ, რომ სამშაბათს 20 იანვარს, ქ. ქუთაისში მთავარ-ანგელოზის ეკლესიაში გადახდილ იქნება წლის წირვა და პანაშვიდი, მათთვის დაუვიწყარის ძვირფასი შვილის წმ. ნინოს სასწავლებლის მეშვიდე კლასის მოწაფის

**გოგუცას** (მარიამის)

სულის მოსახსენებლად. წირვის დასაწყისი 10 საათზედ. პანაშვიდის 11 ნახევარ საათზე. 2731 1—1

---

## სახელმწიფო თეატრი

ოპერა ევლახიშვილის ხელმძღვანელობით.

დღეს იანვრის 18-ს

მ. თარხან მოურავის ბენეფისი

## ტ რ ა ვ ი ა ტ ა

---

მიხეილის **ალკრე** პლეხანოვის ქუჩა, 91.

ორშაბათიდან იანვრის 12-იდან თბილისში ჯერ არ დადგმული მხოლოდ მოზრდილთათვის

## „ქალთა მოძულეთა კლუბი"

ორიგინალური კომედია 3 მოქ.

მთავარ როლებში ცნობილნი: ტატიან პავლოვა და მოსახოვი მეტად პიკანტური და მახვილი.

**ნიაგარის ტალღების ნიმფა** მშვენიერი დრამა 2 ნაწ.

ინგლისური ბოქსი სასპორტო სანახაობით

დასაწყისი სად. 5 ს.

---

## ქ ა რ თ უ ლ ი კ ლ უ ბ ი

კვირას 18 იანვარს

თბილისის ქართველ მსახიობთა საუკეთესო ანსამბლით გაიმართება დიდი მხიარული საღამო, წარმოდგენილი იქნება

I

## ამინდა საქართველო

სცენები სამ მოქმ. ქართველ სტუდენტთა ცხოვრებიდან კ. ფოცხვერაშვილისა

II

## ს ი მ ა რ თ ლ ე

ხუმრობა ერთ მოქმედებათ თარგ. მ. ქორელისა

მონაწილეობენ: ი. წუწუნავა, მ. ქორელი, ა. არაბიძე, ა. ყორყოლიანი ი. ჭიაურელი ო. ე. ციმაკურიძე, მ. მიქელაძე ხანდალა და სხვა.

ბილეთების შეძენა ამ თავითვე შეიძლება კლუბის კასაში. კლუბში შესვლა საზოგადო წესით.

---

## დრამატიულ საზოგადოების სარევიზიო კომისია

აუწყებს ხსენებულ საზოგადოების წევრებს, რომ ორშაბათს, 19 იანვარს, დილის 11 საათზე ქართულ კლუბის დარბაზში დანიშნულია წევრთა

## საზოგადო კრება

განსახილველი საგნებია:

1) მიღება ახალ წევრთა
2) მოხსენება სარევიზიო კომისიისა
3) არჩევნები ახალ გამგეობისა
4) მიმდინარე საკითხები.

კრება შესდგება დამსწრე წევრთა რაოდენობის მიუხედავად. 332 5—5

---

## გამოვიდა და იყიდება

მთავარ საწყობში: თბილისი, დიდმთავრის ქუჩა, № 70, პოლიტეხნიკური სასწავლებელი, საქართველოს ტექნიკურ საზოგადოების სატერმინო სექციის მიერ შედგენილი

## რუსულ-ქართული ტეხნიკური ლექსიკონი,

რომელიც შეიცავს უმთავრეს ტერმინებს მათემატიკიდან, ფიზიკიდან, მეხანიკიდან, ქიმიიდან, მინერალოგიიდან, გეოლოგიიდან, არტილერიიდან და ტეხნიკის სხვა და სხვა დარგებიდან, საზევარდენო ტერმინოლოგიის დამატებით. ფასი 100 მან.

**აქვე იყიდება:**

ინჟ. ვ. მ. კაკაბაძე, მრეწველობის განვითარების საკითხი ჩვენში. ფასი 15 მან. ინჟ. ზ. ა. ჭეჟინაძე. პირველდაწყებითი პრაქტიკული ჰიდრავლიკა (სახელმძღვანელო და საცნობო წიგნაკი). ფასი 25 მან.

Инж. И. А. Кипшидзе. Краткія свѣдѣнія о горныхъ богатствахъ грузіи Цѣна 10 руб. 2724—1—1

---

## ქართველ მწერალთა კავშირის საბჭო

იწვევს ქართველ მწერლებს და ქართველ საზოგადოებას—მობრძანდენ—

**კვირას, 18 იანვარს,** დღის 12 საათზედ **მამადავითში,** ხოლო მის სწორზედ, **კვირას, 25 იანვარს,** დღის 12 საათზედ— **დიდუბეში—პანთეონში,** სადაც მოკავშირე სახელმწიფოთა მიერ საქართველოს დამოუკიდებლობის აღიარების გამო გადახდილ იქნება საეკლესიო და სამოქალაქო პანაშვიდები საქართველოს თავისუფლების მონატრულ პოეტ-მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა

ილიას, აკაკის, ნ. ბარათაშვილის, ვაჟა-ფშაველას, ი. ევდოშვილის, ლალიონის, არ. ჯორჯაძის, ა. ყიფშიძის

და სხვათა ნალვაწის გასახსენებლად და მათი სახელის მოსახსენებლად. 334—1—1

---

იანვარში გამოვა ყოველთვიური ჟურნალი

# „ცისკრის ვარსკვლავები"

## „შვილდოსანი"

მონაწილეობენ: შალვა ამირაჯიბი, ა. არსენიშვილი, შ. აფხაიძე, ვალერიან გაფრინდაშვილი, ლადო გუდიაშვილი, რ. გვეტაძე, ნიკოლაი ევრეინოვი, პაოლო იაშვილი, პავლე ინგოროყვა, შ. კარმელი, ს. კლდიაშვილი, გ. ლეონიძე, ნ. ლორთქიფანიძე, ნინა მაყაშვილი, არჩილ მიქაძე, ნ. მიწიშვილი, კოლაუ ნადირაძე, გრიგოლ რობაქიძე, სერგეი სუდეიკინი, გალაკტიონ ტაბიძე, ტიციან ტაბიძე, ი. ყიფიანი, სანდრო ცირეკიძე და ლელი ჯაფარიძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# დღეს:

სპარტაკელების უკანასკნელ გამოსვლათა გამო ბერლინსა და ჩრდილო გერმანიაში საალყო წესებია გამოცხადებული.

ნოსკე ყოველნაირ უფლებებით არის აღჭურვილი.

ვერსალში უკანასკნელი მზადებაა პრეზიდენტის ასარჩევად. კლემანსომ ოფიციალური თანხმობა განაცხადა მისი კანდიდატურის წამოსაყენებლად.

ალბანია სერბიის ჯარების წინააღმდეგ აჯანყდა. სერბიის ჯარი დაზარალდა. ბრძოლა გრძელდება.

სპეკულიაციისა და ლოთობის გამო დახვრიტეს მოხალისეთა ჯარას სარდალი მაი-მაევსკი.

მთელი ციმბირი ადგილობრივ პარტიზანთა ხელშია.

## წერილები:

მეთაური—რუსეთის საფრთხის წინააღმდეგ.

ვახტანგ ღამბაშიძე—საქართველოს ახალგაზრდობას.

ვაჭრობა-მრეწველობა.




# ქიმერიონი

ქართველ მწერალთა კლუბი

(რუსთაველის პრ., 21, ყოფ. „ანონა“)

დღის 11 საათიდან 5-დე სადილი

რუმინული ანგელესკოს ორკესტრი

3—3 პროგრამა. ორშაბათს იანვრის 20 ს.

1) ქუჩის ბავშვები (პაროლია) 2) ტრივიალური ისტორია. სკეტჩი აგნიცევისა. 3) შვიდჯერ გაზომე ერთხელ გამოსჭერ ანდაზას ინსცენიროვკა ლეო გალის. 4) მომავალის ხელოვნება (შარჟი.) 5) ინსცენიროვკა შოპენი, 6) სიკვდილის ტანგო 7) ანტირას ცეკვა.

რეჟისორი დეოგალი — კონფერანსიე ნეჩაევი



## ქართული კლუბი

კვირას, იანვრის 25-ს დანიშნულია კლუბის წევრთა

# წლიური კრება

განსახილველია:

1. 1919 წლის ანგარიშის განხილვა და დამტკიცება.
2. 1920 წლის ხარჯთაღრიცხვის განხილვა და დამტკიცება.
3. სარევიზიო კომისიის მოხსენება.
4. კლუბთან არსებულ კოოპერატივის და საურთიერთო დახმარების კასსის დებულებათა და ინსტრუქციების დამტკიცება.
5. კლუბის სახელობის სტიპენდიების დებულების დამტკიცება.
6. მამასახლისების და მათი კანდიდატების არჩევნები.
7. სარევიზიო კომისიის წევრების და კანდიდატების არჩევნები.
8. კლუბის წევრთა და მუდმივ მოსიარულეთა არჩევნები.
9. მიმდინარე საკითხები.

კრება ჩაითვლება კანონიერად თუ კლუბის წესდების მე-13 § ძალით გამოცხადდა ნახევარი რიცხვი კლუბის წევრების. 335 1—1



## კინემო მინიონი

ბარიათინის ქ. რუსთაველის პრ. კუთხე.

18. 19, 20, 21-ს იანვარს

კინო-დრამის კარიერის დასაწყისი და

კულისების ცხოვრება

ვერა ხოლოდნაიასი

5 მოქ. დრამაში

# ადიდე მკ-ლიანი გზა

მონაწილეობენ ვერა ხოლოდნაია და ო. რუნიჩი.

დასაწყისი სად. 5 ს.


# რუსეთის საფრთხის წინააღმდეგ

შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს სოციალ-დემოკრატია რუსეთთან შესხეულების იდეას საბოლოოდ გამოეთხოვა. ყოველ შემთხვევაში, ეს უცილობელ სიმართლეთ უნდა ჩაითვალოს, სანამ საქმე გვექნება ბოლშევიკურ ან დენიკინის რუსეთთან. დღეს-დღეობით კი რუსეთს სხვა სახე არ აქვს. არა სოციალ-დემოკრატიული საქართველო კი იმ თავითვე რუსეთისგან გამოთიშვისა და დამოუკიდებელი ცხოვრების იდეოლოგიას ადგა, ხოლო დღეს საქართველოს აღდგენილ დამოუკიდებლობის შეუზღუდველობის პრინციპს იცავს. ამგვარად, საქართველო, როგორც მთლიანი ერთეული, დღევანდელი რუსეთისგან გამოთიშულია სახელმწიფოებრივად და იდეოლოგიურ პოლიტიკურად. ჩვენ სრულის შეგნებით და თავისუფალის ნებისყოფით რუსეთს თავი დავანებეთ. მაგრამ ეს კიდევ იმას არ ნიშნავს, რომ ლენინისა ან დენიკინის რუსეთი ჩვენც თავს დაგვანებებს. რუსული საფრთხე საქართველოს ჯერ კიდევ საბოლოოდ თავიდან აცილებული არ აქვს. ჩვენ დარწმუნებული უნდა ვიყოთ, რომ რუსეთი თავს დაგვესხმის და ჩვენს, ამა თუ იმ სახით, დამორჩილებას მოიწადინებს. შეიძლება გადაჭრით ითქვას, რომ დღეს სხვა მხრიდან საფრთხე არ მოგველის. ოსმალეთი დაუძლურებულია, მას დღევანდელს პირობებში დამპყრობი ომის წარმოება არ შეუძლიან. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ოსმალეთი ანტანტს ჰყავს ხელში ჩაბღუჯული და მისი ბედის გადამწყვეტია. ამგვარ ავანტურაზე კი ანტანტი ოსმალეთს არ მიუშვებს.

კავკასიის ახლად აღდგენილ სახელმწიფონი ერთნაირის მიზნით არიან გამსჭვალულნი და ერთმანეთის გამაგრებით დაინტერესებულნი.

სპარსეთი საშიში არაა, არც ავღანი და არც მისი მიმყოლი აღმოსავლეთის ქვეყნები. დასავლეთის ქვეყნებიდან დიდმა სახელმწიფოებმა უკვე იცნეს ჩვენი დამოუკიდებლობა და პატარები არ დაიხსენებენ დიდების მიბაძვას. ამგვარად, ჩვენი დამოუკიდებლობა ყოველის მხრიდან ფაქტიურად უზრუნველყოფილია. მარტო ჩრდილოეთია მისი საფრთხე, მარტო რუსეთია მისი მტერი და ფაქტიურად მის წინააღმდეგ შემომტევი ძალა. მართალია, დღეს გაცილებით უკეთეს პირობებში ვიმყოფებით მტრის დასახვედრად, როგორც შინაურის სიმტკიცით და მოწყობილობით, ისე საერთაშორისო მდგომარეობით. საქართველოს დამოუკიდებლობის ცნობა ანტანტის მიერ დღევანდელს პირობებში მარტო უღლებრივ სფეროში არ დარჩება; დამპყრობ ბოლშევიზმთან ომი რომ მოგვიხდეს, ანტანტი რომელიც ბოლშევიზმის დარწმუნებული მტერია, უყურადღებოთ და უდახმარებოთ არ დაგვტოვებს; მაგრამ ყოველივე ეს მხოლოდ დამხმარე გარემოება იქნება, მეორე ხარისხოვანი საშუალება. თავი და თავი ჩვენა ვართ. უპირველეს ყოვლისა და უწინარეს სხვებისა ჩვენ უნდა მოვემარაგდეთ, რომ ყოველ წუთისთვის მზად ვიყვნეთ—ჩვენი ერის მაქსიმუმი ძლიერება შემმუსვრელად მტრებს შევაგებოთ. ამ მიმართულებით უნდა მიიქცეს მთავრობისა და კანონმდებელი ორგანოს თაოსნობა და ცოცხალი ენერგია. დასამალავი არაფერი გვაქვს, ბევრი რამ არის გასაკეთებელი ამ მხრივ. საქართველოს პოტენციალური შემძლეობა სამხედრო სფეროში სრულებით ამოწურული და დახარისხებული არ არის. ჩვენი ერის ჯავ დაც ვითი ენერგია და ტრადიციული მებრძოლი თვისება მოუვლელია, შეიძლება მეტიც ითქვას—შეგნებულად დაავადებულია. ამ გარემოებას, რა მიზეზებითაც იგი არ უნდა შექმნილიყო, უნდა მიექცეს კეთილ-განწყობილი ყურადღება ყველა სათანადო პირისა და უწყებისა; მის განკურნებას უნდა დაუჩქაროთ. რაკი დღეს ჩვენი ერის კოლექტიური პსიხოლოგია და გრძნობა იმ სანეტარო სიმაღლეზეა ასული, რომ უპირველეს საგნად ეროვნული დამოუკიდებლობის დაცვა დაუსახავს, ერის არც ერთი ცოცხალი ძალა გამოუყენებელი არ უნდა დარჩეს ამ უდიდესი მიზნისათვის.

კარგი და საკმაო ჯარი, აი ეროვნული თავდაცვის ნამდვილი იარაღი. აი რეალური პასუხი, რომელიც უნდა შევაგებოთ ჩრდილოეთ მტერს, როგორც კი მოადგება საქართველოს საზღვარს,—ქართველი ერის თხრებისა და საქართველოს განადგურების ზრახვებით.

დღეს ჩვენი ერთად ერთი მტერი რუსეთია,—ვიცოდეთ ესა და მოვემზადოთ ყოველი მის შემოტევის გასაწბილებლად.

# უცხოეთი

## აზერბაიჯანი.

(საკუთარ კორესპონდენტისაგან).

**მოხალისეთა არმიის დელეგაცია.**

სასიკვდილო დღეებში რუსულ რეაქციის მოციქულებმა „თვითნება რესპუბლიკებს“ თვალები შიაპყრეს. დენიკინის მემკვიდრეები ამიერ-კავკასიის რესპუბლიკებთან კავშირს ეძიებენ. ბაქოში ჩამოვიდა მოხალისეთა ლაშქრობის დელეგაცია, რამაც საზოგადოებაში დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია. კერძო ცნობების მიხედვით დელეგაცია რესპუბლიკებს არა რუს ეროვნებათათვის სამუდამოდ მომკვდარ რუსულ დამფუძნებელ კრებისკენ მიაქანებს.

არ ვიცით რას ეტყვიან აზერბაიჯანში რუსულ დელეგაციას, ყოველ შემთხვევაში ჩრდილოეთიდან მოსულების (გინდ დენიკინელის და გინდ ბოლშევიკის) გულწრფელობა ალარავის სწამს და მათ ორივეს ეროვნულ დამოუკიდებლობის მტრებად ჰრაცხავენ, მუშები უკმაყოფილონი არიან დელეგაციის მიღების, პარტიებიც უარყოფით შეხვდენ, დელეგაცია სხვაშორის სცდილობს მთიელების საკითხის მოხალისეთა არმიის სასარგებლოდ ლიკვიდაციას ე. ი. დროით [მთიელების მოტყუილებას, საზოგადოებაში ლაპარაკობენ, რომ საბოლოო პასუხს, დელეგაცია თბილისში მიიღებსო.

პოლიტიკურად მოაზროვნე ინტელიგენციის ნაწილს არ მოეწონა მთავრობის ჰასკელისადმი მიმართვა.

ნავთის მრეწველთა მუშებს შორის დრო გამოშვებით ბოლშევიკური აგიტაცია სწარმოებს. აგიტაციას აწარმოებენ უმთავრესად ებრაელები, სომხები და რუსები.

სპარსეთთან დაახლოვება ყოველდღიურ ცხოვრებაში აღინიშნა გზების მიმოსვლით, საქონლის გაცვლა-გამოცვლით, სპარსეთიდან მასწავლებლების მოწვევით და ბოლოს მთავრობისგან თეირანს საგანგებო მისიის გაგზავნით, რომელსაც ზიათ-ხან-ზიათ ხანოვი მეთაურობს.

**საგანგებო სხდომები**

უკანასკნელ დროს რუსეთში მომხდარ ცვლილებათა გამო მთავრობას საგანგებო სხდომები ჰქონდა.

**გრძნობით გატაცება**

როგორც მოსალოდნელი იყო მოსული ელემენტი (რუსი, ებრაელი და სომეხი) სიხარულით ხვდება „რუსულ ამბებს“, დარწმუნებული არიან, რომ ბოლშევიკების გამარჯვებას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს და ეს გამარჯვება გავრცელდება აგრეთვე კავკასიის უკვე სახელმწიფოებად მოწყობილ ხალხებზე ამით აიხსნება, რომ მოსული ელემენტი უკვე იწყებს თავისებურ ლექციებისა და რეფერატების კითხვას.

**ნავთის დამზადება**

ამ ჟამად დიდძალი ნავთია ამოღებული, მაგრამ უგზოობის გამო ვერსად გაუტანიათ. ნავთის მრეწველნი ახალ-ახალ სესხებს სთხოვენ მთავრობას.

**ბაქოს ქართველები**

ისეთი მოდუნება, როგორიც აქაურ ქართველობაში გამეფებულა წარმოუდგენელია. არავითარი მუშაობა, უბრალო რეგისტრაციაც კი არ აქვთ, ეროვნული საბჭო თითქო მომკვდარა მაშინ, როცა ქართველმა ერმა ხელმწიფება მიიღო, არსად ისმის მისი ხმა, ქართველები ერთმანეთს ვერ სცნობენ, წარმოდგენა და ლექციები ყველას გადავიწყებია. აქ ჩამოვიდა დამსახურებული ქართველი მსახიობი ქალი ჩერქეზიშვილი, რომელსაც განზრახვა აქვს რამდენიმე ქართული წარმოდგენა მოაწყოს.

ირ—დი

## სომხეთი

**საპატრიარქოს ახალი მემორანდუმი.**

სტამბოლის სომხეთა საპატრიარქო შესდგომია ახალი მემორანდუმის შედგენას, რომელშიც აღნიშნული იქნება ოსმალეთის სომეხ ლტოლვილთა შორის მთავრობის მიერ გამოჩენილი ცალმხრივობა და მიდგომილობა, და რომელიც გამოაშკარავებს იმ დანაშაულობებს, რომლებშიაც პასუხისმგებელნი არიან არა მარტო ოსმალონი ინდივიდუალურად, არამედ ოსმალოთა ერი კოლექტიურად.

**გენ. ანდრონიკისა და გენ. ბაგრატუნის ამერიკაში ჩასვლა.**

საფრანგეთიდან ნიუ-იორკში ჩასულა სომხეთის სამხედრო მისიის ორი მეთაური—გენ. ანდრონიკი და გენ. ბაგრატუნი, რომელთაც ნიუიორკის სომხის საზოგადოება აღტაცებით შეეგებენ. „არ“.

**სომხების სახალხო პარტია ბოლშევიკების წინადადების შესახებ.**

სომხეთა სახალხო პარტიის ერევნის გაზეთი „ჟოღოვურდ“-ი, წერილში: „ბოლშევიკების გამარჯვებას მოხალისეთა ჯარებზე, არდგენს კითხვას: რანაირი უნდა იყოს დამოკიდებულება სომხის ხალხისა, თუ ბოლშევიკები მოისურვებენ ამიერ კავკასიაშიც, კერძოდ, სომხეთში, დამკვიდრებას სოვდეპიაში დამყარებულ წესებისა“,— და შემდეგ განაგრძობს: „პასუხი ცხადია. მრავალ მილიონიან რუსის ხალხს, თვალუწვდენელ სამშობლოს საზღვრებში, შეუძლია ნება მისცეს თავის თავს „გაერთოს“ ძვირად დამჯდარ „სოციალური ცდებით“ და სამოქალაქო ომებით, ხოლო მცირე რიცხოვან და სისხლიდან დაცლილ სომხის ხალხს, ბოლშევიკური წესები მოუტანენ სრულ ანარქიას, და სამოქალაქო ომს.

თუ სომხეთში დამყარდება საბჭოთა ხელისუფლება, უნდა დაიშალოს ჩვენი ერთად ერთი იმედი, ახალგაზრდა ჯარი; სომხის ხალხი დაჰკარგავს მოკავშირეთა დახმარებას, როგორც სურსათის მხრით, აგრეთვე პოლიტიკურადაც, და ჩვენი მტრები, რომელნიც მოკავშირეთა წყალობით ვერ ჰბედავენ გამოვიდნენ აშკარად მოსპობენ სომხის ხალხის დანაშთენსაც.

აქ უნდა გავიხსენოთ თუ რანაირი მეგობრული განწყობილება ჰსუფევს ახალგაზრდა ოსმალთა და ბოლშევიკებთა შორის.

ხოლო მეორე მხრით ბოლშევიკების მისწრაფება—ამიერ-კავკასიაში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისადმი, თავისთავად უნდა ჩაითვალოს რუსის ხალხის „იმპერიალისტურ“ მიდრეკილებათა გაგრძელებად, რომელიც დაფარულია სხვა ლოზუნგებით და რომელსაც მოჰყვება ფრიად მძიმე შედეგები წვრილ ეროვნებათათვის. ამიტომ ბოლშევიზმის გამარჯვება ამიერ-კავკასიაში იქნება სასიკვდილო მახვილის ჩაცემა ჩვენი და ჩვენი მეზობლების დამოუკიდებლობისათვის...

აი რისთვის იპოვის საკუთრებისა და კანონიერების მოყვარე სომხის ხალხში ბოლშევიკების ყოველი ცდა სომხეთის დამოუკიდებლობის ხიფათში ჩაგდებისა და მისი შინაური ცხოვრებაში გარევისა, ერთსულოვანს უარყოფით მოპყრობას: აი რისთვის უნდა გასწიოს სომხეთის მთავრობამ მსგავს შემთხვევებში მედგარი წინააღმდეგობა“.

## რუსეთი.

**კლემანსო რუსეთის შესახებ.**

დეპუტატთა პალატაში კლემანსომ განაცხადა, რომ ვიდრე რუსეთში ანარქიაა მანამდის ევროპაში მშვიდობა არ დამყარდება. ამ რიგად მოკავშირენი იძულებული არიან რუსეთი გამოჰყონ სხვა ქვეყნებს განცალკევებულ ზონის სახით. განსაკუთრებით მეზობელ სახელმწიფოებისგან, როგორიც არიან: პოლონეთი რუმინია.

**გუსტავ ერვე რუსეთზე.**

„Victoire“-ში გუსტავ ერვე ამბობს: „დღევანდელი მოკავშირეთა სიტუაცია რუსეთის მიმართ ჩაითვლება დანაშაულად ახალგაზრდა თაობის წინაშე, ვინაიდან 25 წლის შემდეგ, შეიძლება გაჩაღდეს იმნაირი სისხლისღვრა რომელიც აღემატება ყოველივე იმას, რასაც ჩვენ ამ ჟამად ვხედავთ“.

**რუსეთის ოქროს გაყოფა.**

ბალტიის მხარეს მდებარე სახელმწიფოებს შორის დაიდო შეთანხმება რუსეთის ოქროს თადარიგის (1.300 მილიონ მანეთის ომამდე ეხლა 1 მილიარდამდის) გაყოფა. ესტონეთი თავის ხვედრს აქედან მიიღებს 10 მილიონ მანეთს.

(საქ. დეპ. სააგ.).

**ბოლშ. სამხედრო ცნობები.** იანვ. 16. ნარვის რაიონში ჩვენ მხარეზე მტრის 840 მეომარი გადმოვიდა. რეჟიცის რაიონში ჩვენმა ჯარმა უკუ აგდო მტერი და წაართვა მას ერთი ტყვიის მფრქვეველი იაკობშტატის მიმართულებით.

# საქართველოს ახალგაზრდობას

იანვრის 12-ს, არაჩვეულებრივი სიხარული ვიგრძენი და დიდებულ ზეიმით ვიდღესასწაულეთ ეს შესანიშნავი დღე. დაუვიწყარია ეს დღე ჩვენთვის და ყოველი ქართველისათვის მუდამ სიამოვნებით მოსაგონარი იქნება.

ამ სიამოვნების დროს ყველას გვაგონდებოდა ისინი, ვინც დაიტანჯნენ ამ ბედნიერ დღის მოლოდინში და სამწუხაროდ თვითონ კი ვერ შეესწრნენ მის გათენებას.

ვის არ ახსოვს ჩვენი სულმნათი მგოსნის სევდიანი სიტყვები:

„მშვენიერო შენ გეტრფი,  
შენი მონა, ერთგული;  
შენთვის სულდგმულს, შენგანვე  
შენთვის მიძგერს ეს გული!

მეგულები ციხეში,  
ცხრა-კლიტულში მჯდომარე.  
შეთვისებას გპირებს  
გაიძვერა მოყვარე!

გაუბრთხილდი! ნუ გჯერა  
მაგის ტკბილი ნანინა,  
შენზე წინად სხვაც ბევრი  
მოჰხიბლა, შეაცდინა!

გაუმაგრდი განსაცდელს,  
აიტანე ტყვეობა!  
გშვენის ნესტან დარეჯნის  
მაგალითი... მზეობა!

ტარიელი დაგეძებს  
გავარდნილი დღეს ველად;  
ავთანდილი ფრიდონით  
მიგნედით მოსხივ-ცისკარე!..

—

დილ-დილით გასაღვიძებლად  
შაშვმა მისტვინოს შევსური,  
რომ მის მაღალ ბან-სალამურს  
სიკვდილმაც დაუგდოს ყური!..

—

საღამოს ვარდის ჩიტუნამ  
ჩასკვნით ჩამკვნესოს „ნანინა“,  
იქვე მახლობლად ბუჩქებზე  
მას აერჩიოს რა ბინა!..

—

და ამდენ ნატვრის გვირგვინად  
ერთსაც დავსახავ სხვა რამეს:  
კავშირსა სიკვდილ სიცოცხლის,  
ორივე სოფლის სიამეს!..

—

ის მირჩევნია ძვირფას ძეგლს,  
ყოველ გვარ სანახაობას,  
რომ იქ უკმ...-დღეს ვხედავდე  
მოზარდულ ქართულ თაობას!

—

აქ თამაშობდეს, ცელქობდეს,  
ეზორცებოდეს ქართველ ერს!  
და თავისუფლად დამღერდეს  
ძველებურ „მრავალ-ჟამიერს!“...

აი ეს დახწერა ძვირფასმა მგოსანმა დიდის ხნის წინად სიკვდილამდე და ბევრჯელაც სიტყვიერად გაუმეორებია. აღტაცებით მოიგონებდა ხოლმე ამ სურათს და სიცოცხლის დასრულებას მწარე სინანულს, თითქოს ამ სურათის მომხიბლაობით იქარვებდა.

ჩვენ ვიცით, რომ მგოსანს პირველი სამი ნატვრა არ აუსრულდა: არც უბრალოდ დამარხულა, არც ბაღში და გვირგვინებიც და სიტყვებიც მრავალი იყო. მაგრამ მის სატრფიალო მთაწმინდას მაინც შეაფარა თავი. „ცა—ფირუზ, ხმელეთ—ზურმუხტი“ სამშობლოს მზე, მთვარე და ვარსკვლავები უსრულებენ ნატვრას, და ჩიტებიც ნანინას უმღერიან. ძეგლიც კი არაფერი აღგია, როგორც თვითონვე სწადდა. ოღონდ უკანასკნელი ნატვრის გვირგვინი კი არ გავიმეტეთ მისთვის.

სიცოცხლით თავის ძვირფას სამშობლოს სევდიან მაგრამ იმედიანს მოჰპირისუფლეს, რომელიც თვითონ ვერ დასტკბა ჩვენთან ერთად სამშობლოს ტყვეობიდგან განთავისუფლებით, ეს უკანასკნელი ნატვრა მაინც შევუსრულოთ.

ამ ბედნიერი დღის შემდეგ, რომელიც ასე ნანატრი იყო მგოსნის მიერ და ასე დიდებულად განხორციელდა მის სასახელოდ და ჩვენდა საბედნიეროდ, ჩვენც დავიდოთ ჩვეულებად და ეს „კავშირი სიკვდილ-სიცოცხლის“, რომელსაც მგოსანი „ორივე სოფლის სიამედ“ სთვლიდა, აღვადგინოთ და დავაწესოთ.

ვინ არის ისეთი, რომ არ დამტკბარიყოს მგოსნის ტკბილი ლექსითა და პოეზიით, და ასეთი გახსენება ხომ საუკეთესო სამაგიეროს მიძღვნა იქნება იმ გრძნობების, რომელსაც ემსახურებოდა სულმნათი მგოსანი და მისი უკვდავი ჩანგი, რომლის სიმებსაც მისი „გული დაადნა და სულიც დაიცალა“...

ჩვენ დედა ქალაქს მრავალი „მოზარდი თაობა“ ამშვენებს. იგინი კვირაობით თავისუფალნი არიან. ასეთ მშვენიერ ბუნების კალთაზე, სადაც ზამთრობითაც ბრწყინვალე მზე არ გვაკლია, მეტად სასიამოვნო მოძრაობა და სიარული. ხანდახან ამ სიარულის დროს გადავუხვიოთ ხოლმე ზევით მთაწმინდისაკენ და იქ მამადავითზე დავტკბეთ მშვენიერის სანახაობით, თანაც ვინახულოთ ძვირფასი სამარე. იქ სხვა ძვირფასი საფლავებიც არის, ნურც ისინი დაგვავიწყდებიან...

ასში ხუთიც რომ წამოვიდეს, ყოველ კვირას, საკმაო რიცხვი შეგროვდება მგოსნის ნატვრის განსახორციელებლად.

ამ კვირას, 18 იანვარს, კარგი იქნება, რომ „მოზარდი თაობა“ ამოისეირნებდეს მთა-წმინდაზე და შეამკობდეს ყვავილებით მგოსნის სამარხს, გაიხსენებდეს მის ანდერძს...

დილის 11 საათი ყველასათვის მოსახერხებელი დრო უნდა იყოს.

„მოზარდი თაობის“ ხორჩი მგრძნობიარე გული არ დაგვემდურება ამ გახსენებაზე.

მაშ გელით!..

ვახტანგ ღამბაშიძე

მიმართულებით ჩვენმა ჯარმა 10 ვერსით წინ წაიწია. ელისავეტგრადის რაიონში ავიღეთ დაბა ადეჟკა. კრივოროჟისა და ნიკოპოლის მიმართულებით ჩვენი წინსვლა გრძელდება. ალექსანდროვის რაიონში ჩვენი ჯარი იარაღს ჰყრის მახნოს რაზმებს. ნოვოჩერკასკის რაიონში ბრძოლით ავიღეთ სემიკარაკოსკაია და წამოვიყვანეთ 200 ტყვე. დამატებითი ცნობების მიხედვით ნოვოჩერკასკის აღების დროს ჩვენ ხელში ჩაგვივარდა 600 მილიონი მანეთი დონის ფული, კადეტის კორპუსი და ნაწილი „ვოისკოვოი კრუგი"-სა. ველიკოკნიაჟესკაიას უბანში. ცარიცინ-ტიხორეცკაიას რკინის გზის რაიონში ჩვენ ავიღეთ სად. რემონტნაია. ყიზლიარის მიმართულებით ავიღეთ სად. ველიჩავაი და მტერს ვსდევნით.

**ციმბირში**

ციმბირის ერთ-ერთ დივიზიის შტაბს ირკუტსკიდან შემდეგი ცნობა მიუვიდა: მთელი ჩრდილოეთი ციმბირი ტულუნიდან დაწყებული, მთელი ლენის მხარე, ვიტიმი, ბოდაიბო ადგილობრივ პარტიზანთა ხელშია.

**ხარკოვი. იან. 16.** მიღებულ ცნობების მიხედვით მოხალისეთა ჯარის სარდალი მაი-მაევსკი სამხედრო საგზავრის დადგენილებით დაუხვრეტიათ. მას აბრალებდენ: სპეკულიაციას, ლოთობას, სამსახურის უყურადღებობას.

## ოსმალეთი

**ინგლის-საფრანგეთის შეთანხმება ოსმალეთის საკითხში.**

სარწმუნო წყაროებით იუწყებიან რომ ოსმალეთის საკითხში ინგლის-საფრანგეთ შორის სრული შეთანხმება მომხდარა და გადაუწყვეტიათ კიდეც მიჰმართონ დაუყოვნებლად პრაქტიკულ ნაბიჯებს რა წამს ინგლისი ირლანდიის საკითხს მოაწესრიგებს.

**ოსმალეთი და ამერიკის მანდატი.**

ნიუიორკიდან იტყობინებიან, რომ ოსმალები თვალყურს ადევნებენ ამერიკის სენატის მუშაობას ისინი შიშობენ, რომ შეერთებულ შტატებმა უარი არ სთქვან ხელშეკრულების დამტკიცებაზე და მათ არ დაჰკარგონ ამერიკის მზრუნველობა სამშვიდობო კონფერენციაზე. „არ".

**ოსმალეთში.**

პოლიტიკური ალრევა ოსმალეთში გრძელდება. ნაციონალისტთა კრებამ ვერ შესძლო გაერთიანება ყველა ოსმალეთის პარტიებისა.

ყოფილი სამხედრო მინისტრი ალი ქებალ ბეი აცხადებს, რომ გერმანოფილი „ჟიონ თურქ"-ები ახლო მომავალში ხელ-ახლა პიილებენ თავის ძველ ძლიერებას.

რამდენიმე გაზეთების სიტყვით, თალაათ ფაშა იმყოფება ბერლინში და განზრახული აქვს გადასვლა რუსეთში.

**ბოლშევიკები და ახალგაზრდა ოსმალონი.**

ყოფილი ოსმალეთის დიდი ვეზირი თალაათ-ფაშა ამ ჟამად ბერლინში იმყოფება და იქიდან რადეკთან ერთად ბოლშევიკურ რუსეთში წასვლას აპირობს.

## იტალია

**ხანიგაგის ნაკლებობა.**

მომარაგების სახელმწიფო მდივნის, ბ-ნ მურიალდის გამონგარიშებით, ამ მიმდინარე წელს იტალიამ უცხო ქვეყნებიდან უნდა შემოიტანოს 25 მილიონი კინტალი ხორბალი, 3 მილიონი კინტალი სიმინდი, 800.000 კინტალი ზეთი, 500.000 კინტალი ღორის ხორცი, 800.000 კინტალი შაქარი, და სხვა. რაც შეეხება ხორბალს, მთავრობა ერთ კინტალში იხდის 90 ლირას ადგილობრივ იტალიელ მწარმოებლებთან,—130 ლირას, როდესაც ხორბალი მოდის არგენტინიდან, 180 ლირას, როდესაც იგი მოდის ჩრდილო ამერიკიდან; ხოლო მომხმარებლებზე თვითონ მთავრობა ჰყიდის კინტალს 60 ლირათ. ამ წესით ხაზინას წლიურად მოსდის ზარალი ორი ნახევარ მილიარდი ლირა. (le temps).

**საგარეო ვალი.**

იტალიის საგარეო ვალი აღწევს 20 მილიარდ ლირას. (le temps).

**ფიუმე პარლამენტში.**

ფიუმეს საკითხი ჭეშმარიტად თავსამტვრევ საგნად გადაიქცა, მოკავშირეთა უზენაესი საბჭო კრიზისში ვარდება ყოველთვის, როდესაც ამ საკითხის გადაჭრას შეუდგება. იტალიის მთავრობის აზრი და მოთხოვნილება ფიუმესა და მთელი ადრიატიკის შესახებ წააწყდა ამერიკის სასტიკ წინააღმდეგობას. საფრანგეთი და ინგლისი უხერხულად სცნობენ ვილსონის პოზიცია აშკარად დაარღვიონ და იტალიას მეტი თანაგრძნობა მისთავაზონ; მეორეს მხრით იმასაც უხერხულად სცნობენ რომ იტალია გულნატკენი დატოვონ. თვით იტალიის მთავრობაც დიდს უხერხულობაშია ჩავარდნილი. პირველად წარდგენილ მოთხოვნილების გაზომიერება მეტად ეძნელება, ვინაიდან დ' ანუნციო და მასთან ერთად მომქმედი სამხედრო წრეები, ისე როგორც იტალიის საზოგადოებრივი აზრიც იტალიის პრეტენზიას კანონიერად სთვლიან და მოითხოვენ მის დაკმაყოფილებას. ფიუმეს საკითხში კისერი მოიტეხა ყოფილმა საგარეო საქმეთა მინისტრმა ტიტონიმ. არც ახალ საგარეო საქმეთა მინისტრს ბ-ნ სციალოიას ჰქონდა კარგი პარლამენტის დღე დეკემბრის ოცხ. პარლამენტი გამყინავის სიჩუმით უსმენდა მინისტრს და დრო და დრო უკმაყოფილების შენიშვნით სიტყვას აწყვეტინებდა საკითხი იმავ მდგომარეობაში აღმოჩნდა, რა მდგომარეობაშიც იგი იყო ტიტონის დროს, ხოლო მისი ბედი ისევ გამოურკვეველი და ხიფათით სავსე.

მინისტრის სიტყვას მეტად მკაცრი კრიტიკა გაუკეთა სოციალისტმა დეპუტატმა მოდელიანიმ, რომელმაც მთელი პარლამენტის დასტური და მოწონება გამოიწვია. მაგრამ გამარჯვებით დამთვრალმა ორატორმა თავი დროზედ ვერ შეიკავა და როდესაც მეტად ღრმად შესტოპა და სიტყვა იტალიის საბჭოთა რესპუბლიკის მოთხოვნით დააბოლოვა, მთელმა პარლამენტმა. მკაცრი რეპლიკა მისცა და „მეფეს გაუმარჯოს" ძახილით დაჰფარა ორატორის უკანასკნელი სიტყვები. (le temps)

## საფრანგეთი

**ხანოვაგის ფასის აწევა.**

მთავრობამ გადასწყვიტა შესწყვიტოს ომის იძულებით შემოღებული სოციალური ქველმოქმედობა პირველ საჭიროების საგნებს, პურს, შაქარს და სხვას მთავრობა ჰყიდდა ბევრად უფრო ნაკლებ ფასებში, ვიდრე თვით ყიდულობდა, რის გამოც მთავრობას მრავალი მილიარდი დეფიციტი—ვალი დააწვა. მომავალშიც ამგვარი პურის პოლიტიკის გაგრძელება სახელმწიფოს აუტანელ მდგომარეობაში ჩააყენებდა. ამ მოსაზრებით მთავრობამ გაადიდა იმ შაქრის ფასი, რომელსაც იგი ბარათებით ხალხს ურიგებდა. განზრახულია აგრეთვე პურის ფასის გადიდებაც. ყოვლად უმწეო და ომის გამო უმარჩენალოდ დარჩენილი ოჯახები ცალკე შეღავათიან კატეგორიაში იქნებიან გადარიცხული.

(le temps)

## სპარსეთი

**სპარსეთის მინისტრი პარიზში.**

სპარსეთის საგარეო საქმეთა მინისტრი, რომელიც სპარსეთის სამშვიდობო დელეგაციის თავმჯდომარეა, ლონდონიდან გაემგზავრა პარიზში.

**ურმის ტბის გემების შემოსავალი ღარიბთათვის.**

გაზ. „ირანი" იტყობინება ურმის ტბაზე მყოფი ყველა გემები გადაეცა შინაგან და საზოგადო საქმეთა მინისტრის განკარგულებაში. ამ გემების მთელი შემოსავალი გადადებულია სპარსეთის ღარიბ კლასის დამხმარე ფონდისათვის.

## ფინეთი

**ჰელსინგფორსის კონფერენცია.**

სტოკჰოლმიდან იტყობინებიან, რომ ჰელსინგფორსის კონფერენცია, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ ფინეთი, ბალტიის სახელმწიფოები და პოლონეთი ბოლშევიკების წინააღმდეგ გაერთიანებულად სამოქმედოდ, გაიხსნება იანვრის 15-ს.

## ავღანეთი

(ს. დ. ქ.).

**ნაუენი. იანვ. 15** ავღანია აჯანყდა სერბიის ჯარების წინააღმდეგ სასტიკი ომი სწარმოებს. სერბიის ჯარი ძლიერ დაზარალდა.

## „ეშმაკის" საგენტო

საქართველოში არსებობს ერთი დაწესებულება—საქართველოს დეპეშათა სააგენტო.

მაგრამ ნურავინ იფიქრებს, რომ ამ დაწესებულების მიზანს შეადგენდეს სწრაფი და სწორი ინფორმაციის მოწოდება, როგორც საქართველოს შესახებ უცხოეთისათვის, ისე უცხოეთისა საქართველოსთვის.

თუ თქვენ თვალს გადაავლებთ იმ ბიულეტენებს, რომელსაც ეს სააგენტო ყოველ დღე აწვდის თბილისის გაზეთებს, თქვენ დაინახავთ როგორ დალაგებით გვაწვდის ცნობებს ეს სააგენტო: იყო დრო, როდესაც ეს სააგენტო მხოლოდ იმ ცნობებს აქცევდა ყურადღებას, რომელსაც ბოლშევიკურ მოძრაობის გაძლიერებას შეეხებოდა ევროპაში—ეს მაშინ საჭირო იყო ერთი მიმართულების ხალხისათვის და საქართველოს სააგენტოც ერთგული მოსამსახურე გახდა ამ ხალხისა.

იყო ისეთი მომენტიც, როდესაც სააგენტოს ბიულეტენები სავსე იყო მოხალისეთა ჯარის სვოდკებით.

შემდეგში ასეთი ხასიათის „მუშაობა" ჩვენთვის აშკარა შეიქმნა, როდესაც ერთ ერთი ხელმძღვანელი ამ დაწესებულებისა ბ-ნი ქალანთაროვი დატუსაღებულ იქმნა, როგორც დენიკინის ჯაშუში!

ჩვენ არა ერთხელ მივუთითებია ამ პიროვნებაზედ, რომ იგი მოცილებული ყოფილიყო ამ დაწესებულებიდან, მაგრამ ჩვენს ხმას ყურადღებას ვინ მიაქცევდა, როდესაც მას ამ სააგენტოს მეორე მეთაური ბ-ნი კალანდაძე—-ეშმაკი მფარველობდა (ალბათ მისთვის, რომ „ეშმაკის მათრახის" რედაქტორის დეპეშათა სააგენტოს მეტად სერიოზული მუშაობის არაფერი · გაეგება!).

ეს არის ალბად მიზეზი, რომ დეპეშათა სააგენტო რომელიც საუკეთესო საპროპაგანდო იარაღი უნდა ყოფილიყო საქართველოს მთავრობისათვის საქართველოს შესახებ ფართო ინფორმაციის მოწოდებით ევროპისათვის, ჯერ ერთი ცნობაც კი არავისათვის გადაუცია, არც ჩვენი პროვინციის შესახებ და არც ხახელმწიფოს ცხოვრებისათვის უაღრესად საყურადღებო მოვლენების შესახებ.

— თუ მხედველობაში არ მივიღებთ დამფუძნებელი კრების ანგარიშებს;

მაგრამ წაიკითხეთ ეს ანგარიშები? ძველ რუსეთშიც კი, სადაც სახელმწიფო სათათბიროს ოპოზიციის მუშაობა საოცარ დევნას განიცდიდა, იქაც კი ვერ ხედავდენ ამ ოპოზიციის ორატორთა სიტყვების დამახინჯებას და უკიდურეს შემთხვევაში მხოლოდ ამოკლებდენ მათ, მაგრამ ისე, რომ არამც თუ მთავარი დებულებანი, ხშირათ მთელი ფრაზებიც კი უცვლელნი რჩებოდენ.

და აქ კი, დემოკრატიულ საქართველოში, სადაც პრესისა და სიტყვის სრული თავისუფლებაა, განა წაუკითხავს ვინმეს ჩვენი დეპეშათა სააგენტოს ბიულეტენებში არამც თუ სიტყვები ოპოზიციის ორატორებისა, არამედ ხშირად არც კი არის მოხსენებული, ილაპარაკა მან თუ არა. (მაგალითად დამფუძნებელი კრების საზეიმო სხდომის ანგარიშში, სრულებით არ არის მოხსენებული დეპუტატი გ. გვაზავა).

ამავე დროს, მენშევიკების უმნიშვნელო ორატორების სიტყვებს, პირდაპირ სტენოგრაფიული სისწორით ბეჭდავენ.

ამას ჰქვია წესიერი სააგენტო?

ნუ თუ მართალია ერთი ფელეტონისტის ოხუნჯობა; „რომ მენშევიკებმა თითქმის ყველა დაწესებულება გაამასხარავეს, სააგენტოს სათავეში, ოფიციალური მასხარა დააყენესო".

N.

# ახალი ამბები

**ნათლიღების დღესასწაულის გამო ჩვენი გაზეთის შემდეგი ნომერი გამოვა იანვრის 21-ს.**

## პარტიული ცხოვრება

**დღეს, იანვრის 18-ს დღის 12 საათზე მთავარ-კომიტეტის ბინაზე დანიშნულია კომიტეტის მორიგი კრება. დასწრება ხავ'ლდებულოა.**

**ს. ორჯონიკიძის გარდაცვალება.**

ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ სახადით გარდაიცვალა ერ.-დემ. პარტიის ზესტაფონის კომიტეტის წევრი ს. გ. ორჯონიკიძე, დამსახურებული 32 წლის სახალხო მასწავლებელი.

ქალაქის საბჭომ გადასწყვიტა განსვენებულის ს. ორჯონიკიძის სახელი ეწოდოს იმ სასწავლებელს, სადაც ის 15 წელიწადი მსახურებდა, მიეცეს მის ცოლშვილს მისი ჯამაგირი სანამ პენსიას დაუნიშნავდენ. სამაზრო კომიტეტმა გადასცა ათასი მანეთი მის ოჯახობას.

წირვის და ანდერძის აგების შემდეგ კათედრის წინაშე სიტყვები წარმოსთქვეს და დაახასიათეს განსვენებული პედაგოგი კომიტეტის სახელით ქ. ანთაძემ, მასწავლებლების მხრით ბ. კელენჯერიძემ, გ. აბაშიძემ და ქალაქის თვითმართველობათა მხრით ქ. ბუაჩიძემ.

ცხედარი წაასვენეს ს ლახუნდარს დასაკრძალავად.

**მისტერ ოლივერ უორდროპთან**

16 იანვარს მისტერ ოლივერ უორდროპმა საქართველოს დამოუკიდებლობის ცნობის გამო თავის ბინაზე გადიხადა ბალი, რომელზედაც დაესწრენ მთავრობის წევრნი, უცხო სახელმწიფოთა წარმომადგენელნი და მანდილოსანნი ქალნი. მეჯლისმა ნაშუაღამევის 3 საათამდი გასტანა.

**საქართველოს დამფუძნ. კრების საპასუხო მილოცვა აზერბაიჯანის პარლამენტს.**

დამფუძნებელ კრების თავმჯდომარის უფროსმა ამხანაგმა ალ. ლომთათიძემ შემდეგი შინაარსის დეპეშა გაუგზავნა აზერბაიჯანის პარლამენტის თავმჯდომარეს:

„საქართველოს დამოუკიდებლობის ცნობის გამო შემდგარმა დამფუძნებელ კრების საზეიმო სხდომამ მოისმინა რა აზერბაიჯანის პარლამენტის მილოცვა ღრმა მადლობას უცხადებს და მხურვალე სალამს უძღვნის და ულოცავს აზერბაიჯანის ხალხს პარლამენტის საშით ევროპის ხალხთა ოჯახში სრულუფლებიან წევრად შესვლას. დაე ამ ორი რესპუბლიკის ხალხთა საერთო ზეიმმა უფრო მჭიდროდ შეაკავშიროს ისინი და გააერთიანოს მათი ძალები და ნების-ყოფა დამოუკიდებელი არსებობის დასაცავად ახალი ბრძოლისათვის.

გაუმარჯოს თავისუფალ აზერბაიჯანის თავისუფალ ხალხს".

დამფ. კრებ. თავმჯდომარის უფროსი ამხანაგი ალ. ლომთათიძე.

**სომხეთის პარლამენტის თავმჯდომარეს**

საქართველოს დამოუკიდებლობის ცნობის გამო იანვრის 14-ს შემდგარი დამფუძნებელი კრების საზეიმო სხდომა ღრმა რწმენას გამოსთქვამს რომ მალე სომხეთის ხალხიც იდღესასწაულებს თავის სამშობლოს დამოუკიდებლობის ცნობას, ვინაიდან ევროპის სახელმწიფონიც არ დააყოვნებენ თავიანთ ოჯახში მიიღონ სომხეთიც და ამიერ კავკასიის რესპუბლიკები ძმურად შეკავშირებულნი და ხელი ხელ ჩაკიდებულნი გასწევენ დამოუკიდებელი არსებობისა და პროგრესისაკენ. დამფ. კრებ. თავმჯდომარის უფროსი ამხანაგი ა. ლომთათიძე.

**ამნისტია პატიმართათვის**

საქართველოს დამოუკიდებლობის ცნობის გამო მთავრობის წრეებში სდგება პროექტი პატიმართა ამნისტიის შესახებ.

**დამოუკიდებლობის აღსანიშნავათ**

კვირას, იანვრის 18-ს, ქართველ-კათოლიკეთა მიძინების ეკლესიაში (კათოლიკეთა ქ. № 4) გადახდილ იქნება წირვა და პარაკლისი საქართველოს დამოუკიდებლობის ცნობის აღსანიშნავად. წირვა დაიწყება დილის 11 საათზე.

## სხვა და სხვა ამბები

**სწავლის განახლება**

20 იანვრიდან თბილისის ყველა უნივერსიტეტებში ლექციების კითხვა განახლდება.

**სწავლის ფულის გადიდება**

თბილისის პოლიტეხნიკუმში ამა წლის 1-იანვრიდან სწავლის ფული 350—1000 მ. გაადიდეს.

**ყაჩაღებთან ბრძოლა.**

თელავიდან შინაგან საქმეთა სამინისტროს აუწყებენ, რომ იანვრის 4-ს ღამით, ყაჩაღებთან ბრძოლის დროს, ს. ყვარელთან, დაიჭრა 3 გვარდიელი. მოჰკლეს ცნობილი ყაჩაღი ხმადაშვილი.

**ტანვარჯიშობის მასწავლებელთა მოსამზადებლად.**

მთავარი გამგეობა უკვე შეუდგა ტანვარჯიშობის მასწავლებელთა მოსამზადებელ კურსების პროგრამის შემუშავებას. კურსები გაიხსნება თბილისის საზოგადოება „შევარდენი" 1-ის დარბაზში ამა წლის 1 თიბათვეს და გასტანს 1 ენკენისთვემდე. კურსებზე მიიღებიან რესპუბლიკის ყველა სასწავლებელთა ტანვარჯიშობის მასწავლებლები და საზოგადოება „შევარდენის" მწვრთნელები. იმ პირთ, რომელნიც ამ კურსებს არ გაათავებს ტანვარჯიშობის მასწავლებლის უფლება არ მიეცემათ.

**26 მაისისთვის.**

ტანვარჯიშობის მთავარი გამგეობას განზრახვა აქვს 26 მაისის დღესასწაულზე ყველა საშუალო სასწავლებელთა შეერთებული ტანვარჯიშული გამოსვლა მოაწყოს. გამგეობა შეეკითხა კიდეც სასწავლებლებს, თუ რამდენი მოწაფის მომზადება შეიძლება ამ დღისთვის. სასწავლებელთა პასუხიდან გამოირკვა, რომ ხსენებულ დღესასწაულში მონაწილეობას მიიღებს დაახლოვებით 4000-დე ქალ-ვაჟი. გამგეობას უკვე მზადა აქვს გამოსვლის პროგრამა.

**სომეხ ობლებისათვის.**

იანვრის 15-ს სამშვიდობო კონფერენციის უმაღლეს კომისარის პოლკ. ჰასკელის ინიციატორობით და სომხეთის მთავრობის თავმჯდომარის ა. ხატისოვის სომეხთა ეროვნულ საბჭოს თავმჯდომარის თოფჩიანისა და სხ. მონაწილეობით შესდგა საგანგებო სხდომა სომხის ლტოლვილთა ობლების საქმის მოგვარების შესახებ.

## კრებები.

**საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებაში.** დღეს, იანვრის 18-ს, საღამოს 6 საათზე, კავკასიის საარქეოლოგიო ინსტიტუტის ბინაზე (ოლღას ქუჩა, № 40) მოხდება საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების წევრთა ჩვეულებრივი საზოგადო კრება. საგანი კრებისა; 1) გიორგი ჩუბინაშვილის მოხსენება—„ეროვნის ტაძარი", და 2) ახალის წევრების არჩევა.

კრებას გარეშეთაც შეუძლიანთ დაესწრონ.

## სამხატვრო ქრონიკა

**პოეტ ოვანეს თუმანიანის წიგნი.** გამოვიდა სომეხთა პოეტ ოვანეს თუმანიანის ლექსების წიგნი. გამოცემული მ. აფრიკიანისა და ამხანაგების მიერ. წიგნი დაბეჭდილია საუკეთესო ქაღალდზე და ჰღირს 30 მან.

**სურათების გამოფენა „დიდების ტაძარში"** დახურება დღეს კვირას 18 იანვარს ნაშუადღევის 4 საათზე. გამოფენის ბიურო სთხოვს ყველას, ვინც გამოფენაზე სურათები შეიძინა, მობრძანდნენ ორშაბათს 19 იანვარს 12—4 საათამდე და ჩაიბარონ შეძენილი სურათები.

**იმპრესსარიო ა. ლევიტოვის ჩამოსვლა.** თბილისში ჩამოვიდა სობინოვის იმპრესსარიო ა. ლევიტოვი. იანვრის 26-ს და 27-ს ის გამართავს კონცერტს, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ ცნობილი მომღერალნი, სობინოვი, კოდოტოვი და ბალერინა ჯონსონი თვის პარტნიორ ალფეროვით.

**ქართულ მუსიკალურ საზოგადოების გამოცემანი.** ახლო მომავალში ქართული სამუსიკო საზოგადოება გამოსცემს კომპოზიტორ დ. არაყიშვილის შრომას „ქართული ხალხური სიმღერა და ქართველების კულტურა". დღ ფ. ქორიძის „მუსიკის ელემენტარულ თეორიას".

**ქიმერიონი.** ქართველ მწერალთა კლუბის „ქიმერიონში" დაიწყო საღამო წარმოდგენების მართვა. რეჟისორად მიწვეულია ლეო გალი.

**ქართული მუსიკალური სკოლა.** ქართულ მუსიკალურ სკოლაში გაიხსნა შემდეგ კლასები: ინსტრუმენტალურის, კონტრობასის და ოპერის.

**ხ. კალანდაძე—აგასოვის ბენეფისი** იანვრის 20-ს სახელმწიფო თეატრში შესდგება მომღერალ ქალის ბენეფისი. დასდგამენ ვ. დოლიძის კომიკურ ოპერას „ქეთო და კოტე"-ს.

**მხატვრული არტისტიული წრე.** მხატვრულ არტისტიულ წრეში ხშირად იმართება ინტიმიური საღამოები. გასულ კვირას ნ. ევრენცოვის მონაწილეობითი გაიმართა საინტერესო საღამო.

**იშვიათი საღამო ქართულ კლუბში.** დღეს 18 იანვარს ქართულ კლუბში საქველმოქმედო მიზნით იმართება ფრიად საინტერესო საღამო. წარმოდგენილ იქნება მხიარული კომედია „აშენდა საქართველო" რომელში მონაწილეობას იღებენ ალ. წუწუნავა, რეჟისორი მ. ქორელი, ალ. არაბიძე, ალ. ჟორჟოლიანი მ. ჭიაურელი და სხვ. შემდეგ დაიდგმის მხიარული კომედია „სიმართლე" მ. ქორელისა და ზემო აღნიშნულ პირთა მონაწილეობითვე.

## თეატრი

**დღეს:**

**სახელმწიფო თეატრი**—„ტრავიატა".

**„ტარტოს"** დრამა—„მოდური ქალები".

**ქართული კლუბი**—საღამო.

**სახალხო სახლი**—რუსული წარმოდგენა „ნაყოფი განათლებისა".

## პროვინციის ცხოვრება

**ს. მანავი.**

ს. მანავში საქონლის ჭირი გაჩნდა. ეპიზოოტიასთან საბრძოლველად გაიგზავნა საექიმო ბეითალი ბ. თაყაიშვილი. ამნაირივე ეპიზოოტია მოედო სართიჭალის არეს.

**ს. ჯიმითი.**

საქართველოს დამოუკიდებლობის ამბავს გლეხები ალტაცებით შეეგებნენ.

გამწვანებულს ჯეჯილებში თაგვი გაჩნდა და თუ თოვლი არ მოვიდა მთ ოდ დიდ ზარალს მიაყენებს ნათესებს. დაუხვნელი მინდვრები ბევრი დარჩა, მიუხედავად ამისა სოფლელები მიესივნენ აქაურ ერთად ერთ სიმდიდრეს, ტყეს, დაუწყეს კაფვა და საყანო ახოებად გამოხდა.

ქიზიყში პური ბევრია, მაგრამ გლეხები არ იმეტებენ: ჩითეული მოგვიტანეთ და პურს მოგართმევთო".

რედაქტორი:
„სარედაქციო კოლეგია"
გამომცემელი: თბ. გაზ.-მრ. კომიტეტი.

## სავაჭრო-სამრეწველო პალატა

**სავაჭრო ბიულეტენი**

ქ. თბილისი, 17 იანვარი 1920 წ.

**კ უ რ ს ი**

| | |
|---|---|
| სტერლინგი: | |
| ა) ბანკნოტი | 950 მ. |
| ბ) ჩეკი | 905 „ |
| ფრანკი ფრანგული | 24 „ |
| ჩეკი | 19,50-20 „ |
| ლირა იტალიური | 17,75 „ |
| ლირა ოსმალური: | |
| ა) ოქროს | 1300 „ |
| ბ) ქაღალდის | 240 „ |
| მარკა გერმანული | 11-12 „ |
| მანეთი ყოფილ რუსეთის იმპერიისა: | |
| ა) ასი მანეთიანი | 190-200 „ |
| ბ) ხუთასი მანეთიანი | 900-1000 „ |
| ფასიანი ქაღალდები: | |
| თბილ. სადგ.-მამულო ბანკ. გირავნ. ფურცლ. | 100 „ |
| ქუთაისისა | 92-93 „ |
| თბილ. საკრედ. საზოგ. ობლიგაცია | 108 „ |
| აქც. კავკ. ბანკისა | 900 „ |
| აქც. ამიერ კავკ. ბანკისა | 360 „ |
| ვაჭართა ბანკ. | 380 „ |
| ქარ. საურ. საზ. აქც. | 150-160 „ |
| რენტა | 210 „ |
| საქონლის ფასი: | |
| მატყლი ფუთი: | |
| გარეცხილი | 1000 მ. |
| გაურეცხავი | 900 „ |
| ჯაგარი: | |
| ა) გარჩეული | 7000 „ |
| ბ) გაურჩეველი | 4500 „ |
| ბამბა ფუთი | 1500-1600 „ |
| ღვინო კახური ვედრო | 400-700 „ |
| ხორბალი ფუთი: | |
| ა) ქართლისა | 450-500 „ |
| ბ) ბორჩალოსი | 450 500 „ |
| შაქარი ფუთი: | |
| ა) რაფინადი | 4000 „ |
| ბ) ფხვნილი | 3200 |
| სიმინდი ფუთი | 210-220 |
| ლობიო ფუთი | 280-320 |
| ბრინჯი აქულისა ფუთი: | |
| ა) 1 ხარისხისა | 9[illegible] |
| ბ) 2 ხარისხისა | 760-[illegible] |
| პურის ფქვილი ფუთი: | |
| ა) რუსეთისა | 1040 |
| ბ) ადგილობრივი | 5[illegible] |
| სიმინდის ფქვილი ფუთი | [illegible] |
| მაკარონი ფუთი | [illegible] |
| კართოფილი ფ. | [illegible] |
| კომბოსტო ფუთი | [illegible] |
| ერბო გირვ. | [illegible] |
| კარაქი საჭმელი | [illegible] |
| ყველი გირვანქა: | |
| ა) თუშური | [illegible] |
| ბ) ოსური | [illegible] |
| გ) სულგუნი | [illegible] |
| კვერცხი 100 ცალი | [illegible] |
| კაკალი ფუთი | [illegible] |
| თხილი ფუთი | [illegible] |
| ხორცი გირვანქა: | |
| ა) ძროხისა | [illegible] |
| ბ) ცხვრისა | [illegible] |
| გ) ღორისა | [illegible] |
| წუმწუმა 1000 | [illegible] |
| ქათამი | [illegible] |
| ინდოური | [illegible] |
| ბატი | [illegible] |
| იხვი | [illegible] |
| ხიზილალა გ[illegible] | [illegible] |
| დოში გირვ. | [illegible] |

ჩაჯიბი— გასვენება, ორაგული შამგლოვიაზუთხი გირ—ბოდლეშეშ ს. კლდია- ა) რ[illegible]ენტი, ვ. გა- ბ) [illegible] სათაური პო- ეიბი) ნავთ[illegible]ნდაშვილი. ბენზ

№ 18 ვაჭრობა და მრეწველობა № 18

საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის რედაქციით

## მარგანეცი და მისი მრეწველობის განვითარება საქართველოში

(წერილი მეორე*).

ეხლა განვიხილოთ ზერელით იმ პიროვნებათა მოქმედება-მოღვაწეობა, რომელთაც ბედმა არგუნა პირველად წასტეხოდენ ამ სიმდიდრეს. ზემოთაც მოვიხსენიეთ, რომ მარგანეცის მრეწველობას თავიდანვე კაპიტალი ერიდებოდა და აკლდა. მართლაც ზემო იმერეთი, სადაც აღმოჩნდა მარგანეცი, ეკონომიურათ თითქმის ყველა იმერეთის კუთხეებზე დაცემულათ ითვლებოდა და ადგილობრივი ძალები, რასაკვირველია, ვერ შესძლებდენ მრეწველობას შესდგომოდენ. მართლაც მარგანეცის მრეწველობაში ადგილობრივ მცხოვრებთ, თვით მარგანეციანი ადგილების მეპატრონეთ ყველაზე ნაკლები თითქმის მონაწილეობა ქონდათ მრეწველობაში. სულ უცხო ელემენტები, როგორც ევროპიელნი არიან, უმეტეს ნაწილად ამ ხანებში ფოთს არ გამოსცილებიან, ასე რომ ფოთსა და ჭიათურის შორის საჭირო იყო შუამავალი ელემენტები და აი აქ იწყება ჭიათურის რაიონში ჩამონერგვა იმერეთის სხვა და სხვა კუთხეებიდან სიმდიდრის მაძიებელთა. ამ მხრით მრავალთა მოაწყდა ჭიათურას ხონისა და სამეგრელოს რაიონიდან, ამათ უფრო მეტი უნარი გამოიჩინეს ამ საქმეში. ამას ისიც უნდა დაემატოს რომ უმეტეს ნაწილად ყველა ჭიათურაში მოსულ ელემენტებს ფოთი უკვე გამოვლილი ქონდათ და ჭიათურაში ან აგენტის სახით ან ეგნმეს დავალებით მოდიოდენ; დამვალებელნი კი, რასაკვირველია, უცხოეთის ბაზრის აგენტები იყვენ, რომელნიც ამ პირთა საშუალებით ფოთში მზა მზარეულ საქონელს ღებულობდენ. ამ რიგათ აღმოცენდა ადგილობრივ კლასი „ფოდრაჩიკთა“. ეს „ფოდრაჩიკები“ პირველ ხანებში უცხოელების აგენტები იყვენ, მათი კაპიტალით მუშაობდენ და ამ მუშაობის დროს თავის პირად წარმოებასაც იწყებდენ და ასე ვითარდებოდა და მრავლდებოდა რიცხვი წვრილ მრეწველთა. ქართველ მრეწველთა უმრავლესობა ამ რიგათ წარმოსდგა, ხოლო არა ყველა: იყვნენ ადგილობრივი მეპატრონენიც, რომელნიც ცდილობდენ თავიანთი საკუთრება თვით ეწარმოებინათ, ასეთები პირველ ხანებში მაინც მეტად მცირე რიცხოვანი იყო. გარდა ამისა ჭიათურის რაიონში გამოჩნდენ ისეთი ქართველი მწარმოებელნიც, რომელთ თავისი თუმცა პატარა, მაგრამ მაინც ქართული კაპიტალით დაიწყეს წარმოება ამ პატარა ჯგუფსა მრეწველთა არა ერთხელ და ორჯერ უცდიათ დაეხწიათ თავი იმ უმწეობისაგან, რომელსაც ქმნიდა ობიექტიური პირობები მარგანეცის მრეწველობაში. ამ რიგათ ჭიათურის რაიონში ამ ხანებში უცხოელი კაპიტალი არ არსებობდა, უკეთ რომ ვსთქვათ არავითარი სხვილი კაპიტალი არ მოქმედებდა, ამ მხრით იყო „პოდრაჩიკთა“ ჯგუფი რომელიც ცდილობდა რაც შეიძლება ადვილათ რაც შეიძლება მალე მით უფრო შეიძლება იაფათ ამა თუ იმ დღეს ში გამოეგლიჯა მარგანეცი და და ყოვებია ზესტაფონში პატრონისა სიამოვნეს იყო უმთავრესი მისი მიზანი, ამ სიმუშაობის გაუმჯობესება, არც გონდებობის რიგიანად დაყენება, არც ამ ბედნიესაკითხი, არც გზებისა და ან სამუშაო რაც საჭირო იყო ხანრნენ მის გზა ეკონომიური მუშაობისის არ ას არ აფიქრებდა. ამნაირი სნის სევდიანა იმ დროს დიდათ აფერ „მშვენიერების განვითარებას. შენი მონა, რომ აუარებელი რიცხვი შენთვის სულთავის თავს ჭიათურის შენთვის მილიდენ დროებით, მოკმეგულებილათ და როგორც ამ ცხრა-კლიტუკვირველია იმ პიროშეთვისებას გრულებდენ, რომელიც გაიძვერა მოუყაჭიროებათ ითვლება გაუბრთხილდხანგრძლივ მრეწვემაგის ტკბილი 6 საქმე. მეორეს შენზე წინად სხვა უცხოელნი მომოჰხიბლა, შეაცდინ, რომელნიც ფოგაუმაგრდი განსახს არ სდგამდენ. აიტანე ტყვეობა! „დავალებას აძგზვენის ნესტან დარეჯ მაგალითი... მზეობა! „ № 10.

ტარიელი დაგეძებს გავარდნილი დღეს ვლა ავთანდილი ფრიდონით

დგენ თავიანთ „აგენტს—ფოდრაჩიკს“, ეს უკანასკნელი მას შეუსრულებდა და ამით გათავდებოდა საქმე. უცხოელების კაპიტალი აქ მხოლოდ მოკლე ვადიანათ მოქმედებდა ისე, როგორც თვით „ფოდრაჩიკი“, ისე როგორც ის უცხოელი, რომელსაც მხოლოდ ერთი ჰვირთი უნდა აეღო და ამით გაათავოს მარგანეცის საქმე. აქ საქმე სრულ ნდობაზე იყო; ამა თუ იმ „ფოდრაჩიკს“ ეძლეოდა ავანსი, ვალდებულებას რა შეასრულებდა, დანარჩენსაც მიიღებდა, ამ მოგებით იგი კმაყოფილდებოდა და ჭიათურას გასცილდებოდა, სანამ ამ მოგებას არ დახარჯავდა. როცა ეს გამოელეოდა კიდევ ჩავიდოდა ფოთში. ეგებ დავალება მივიღოვო, მიიღებდა დავალებას, კიდევ ამოვიდოდა ჭიათურაში და ასე მიჰყავდა საქმე უმეტეს ნაწილს მრეწველებისას; რასაკვირველია ამნაირათ ვერც ერთმა მრეწველმა ადგილობრივ იმ დროებში ფეხი ვერ მოიკიდა, საქმე რიგიანად და წესიერად ვერ მოიწყო. როდესაც რკინის გზა გაიყვანეს და მას უცხო კაპიტალიც მოჰყვა ქართველ მრეწველობა იმავე სახეს ატარებდა, რითაც დაიწყო. ამ რიგათ მრეწველობის განვითარების საქმე მეტად მძიმე პირობებში სწარმოებდა და იმ მცირე ჯგუფს ნამდვილი მრეწველებისას, რომელნიც ამ გარემოებებს კარგად ხედავდენ, მეტად უძნელდებოდათ თავიანთ საქმის წესიერად დაყენება, რადგან ზემო-დასახელებულ „ფოდრაჩიკთა“ კონკურენციას ეგზნი ვერ უმკლავდებოდენ, და ბევრი მათგან სასოწარკვეთილი სტოვებდა ბრძოლის ველს გაკოტრებული. პირველი ნაბიჯი, რომელიც ამ მცირე რიცხოვანმა ჯგუფმა გადასდგა, ეს იყო შუამდგომლობის აღძვრა მთავრობის წინაშე რკინის გზის ლიანდაგის დაგებისა ჭიათურასა და შორაპანს ან ზესტაფონს შორის, რაც დიდი ხნის შემდეგ დაგვირგვინდა ვიწრო ლიანდაგის გაყვანით 1894 წელს. ამას მოჰყვა თან უცხოელების და მათი კაპიტალის შემოჭრაც ჭიათურის რაიონში. ამის შემდეგ ადვილად წარმოსადგენია რომ ძველი წესი მრეწველობისა უნდა შეცვლილიყო. ამ გარემოებით ხელ გამაგრებულმა ამავე ჯგუფმა მრეწველებისამ აღძრა შუამდგომლობა 1894 წელს მინისტრ ერმალოვის წინაშე, მრეწველთა ყრილობების დაფუძნების შესახებ და წარუდგინა დასამტკიცებლათ ყრილობათა დებულების პროექტიც, რომელიც დამტკიცებულ იქნა ამავე წლის 1894 წელს ოქტომბრის ხუთს. აქედან იწყება ახალი ხანა მარგანეცის მრეწველობაში. 17 წლის განმავლობაში მრეწველობამ მხოლოდ ის მოახერხა, რომ ფეხი შესდგა მსოფლიო ბაზარში და პატარა ადგილი დაიკავა იქ. ეხლა საჭირო იყო ეს პოზიცია მსოფლიო ბაზრისა გაემაგრებია და გაეფართოებია ჭიათურის მრეწველობას იმდენათ რამდენათაც მას ეს შეეფერებოდა. ამისათვის კი საჭირო იყო მრეწველთა ორგანიზაცია, რომელიც იზრუნებდა როგორც ადგილობრივ მარგანეცის დამუშავების საქმის მოწყობას და მისი ტრანსპორტის გაუმჯობესებას ისე მსოფლიო ბაზრის დაპყრობას. შემდეგ წერილებში ვეცდებით აღვნუსხოთ მარგანეცის მრეწველთა ყრილობების და მის საბჭოს მოღვაწეობა იმდენათ რამდენათაც ეს მოღვაწეობა ემსახურებოდა ზემო დასახელებულ ორი მიზნის მიღწევას.

Tertius.

## სპეციალური სკოლა

II.

სპეციალური სკოლა რომ ჩვენში დაქვეითებულია და უნუგეშო სურათს წარმოადგენს, ამის მიზეზი უპირველესად ყოვლისა რუსეთის საზოგადო სკოლის სისტემაში უნდა ვეძიოთ. წინასწარ შეგვიძლიან ვსთქვათ, რომ თუ სისტემა საზოგადო სწავლა განათლებისა უვარგისია, თუ პირველდაწყებითი სახალხო სასწავლებლები უყურადღებოდ არის დატოვებული და მათი რიცხვი მეტად მცირეა, სატეხნიკო და საპროფესიო ცოდნის გავრცელება ამ პირობებში არამც თუ მეტად ძნელია, არამედ თითქმის შეუძლებელიც კია.

საგნის გამოსარკვევად ამ სისტემის ყოველმხრივ და დაწვრილებით დახასიათებას რომ შევუდგეთ, ეს ძალიან შორს წაგვიყვანს.

აქ ჩვენ აღვნიშნავთ მხოლოდ მის უმთავრეს დამახასიათებელ თვისებებს.

1. რუსეთის სკოლა არ იყო თავისუფალ სკოლის პრინციპებზედ აშენებული; მას მუდამ ედო საფუძვლად აკვიატებული პოლიტიკური აზრი და მისწრაფება;

2. ეს სკოლა, სკოლა დ. ა. ტოლსტოისა და დელიანოვისა არ იყო სახალხოსნო, იგი არა ზრუნავდა გაენათლებინა ფართო მასსა ხალხისა, არამედ უმთავრესი ყურადღება ამ სკოლისა მიქცეული იყო იმაზედ, რომ მოემზადებინა სახელმწიფოებრივ აპპარატისათვის საჭირო მოხელეები შინაგან საქმეთა სამინისტროსათვის სასურველ მარკისა; რუსეთის სკოლაში შესვლა გაადვილებული იყო მხოლოდ თავად-აზნაურთა და მოხელეთა შვილებისათვის;

3. ამ სკოლაში ცოცხალი მომქმედი, სკოლის სულის ჩამდგმელი—მასწავლებელი—ისტორიულად დაჩაგრული იყო როგორც უფლებრივ, ისე ნივთიერად; მასწავლებელს არ შესწევდა იმდენი ძალა, რომ წინააღმდეგობა გაეწია სასკოლო სისტემის უკულმართობისათვის და გმირულად დაეცვა წმინდა პედაგოგიური პრინციპები; არც მომზადება ჰქონდა ამისათვის მას საჭირო;

4. ყველა ამას ემატებოდა სკოლის ნივთიერი სიღარიბე; სახალხო განათლების სამინისტროს ყოველწლიური ბიუჯეტი საარაკოდ მცირე იყო მუდამ რუსეთის 150—200 მილიონიან ცხოვრებთათვის; სკოლის ნივთიერ სიღარიბეს თან მოსდევდა უთვალავი წვრილმანი ნაკლი და გაჭირვება.

საღ პედაგოგიურის თვალსაზრისით, რა თქმა უნდა, ყველა აღნიშნული თვისებები სკოლისა უარყოფითია; საზოგადო სკოლა აგებული იყო ყალბ ნიადაგზედ და შეირყა თუ არა რუსეთის პოლიტიკური მდგომარეობა, როგორც ხუხულა არ დაინგრეს, ისე მოიფუშა და დაინგრა რუსეთის სკოლა.

იგივე რუსეთის სკოლა ჩვენთვის, ქართველებისათვის გაორკეცებულად მახინჯი იყო, რადგან მას ჰქონდა დავალებული კიდევ ერთი უკულმართი საქმე—რუსეთში მცხოვრებ პატარა ერების გადაგვარება.

ყველა ის უარყოფითი თვისებები, რომელიც ახასიათებდა რუსეთის საზოგადო სკოლას, თან დაჰყვა აგრედვე სპეციალურ სკოლას, რომელიც სიღარიბეში დაიბადა და სიღარიბეში ამოსდის სული. ის თანხები, რომელიც იხარჯებოდა წინად და იხარჯება დღეს ამ სკოლაზე, ვერ აკმაყოფილებს სპეციალურ სკოლის სულ უმცირეს მოთხოვნილებასაც. ცნობილია, რომ სპეციალური სკოლა მრავალჯერ უფრო მეტ ნივთიერ საშუალებას მოითხოვს, ვიდრე საზოგადო სკოლა; მას სჭირია აუარებელი და ძვირფასი სასწავლო ნივთი, იარაღი და მასალა.

ამ რიგად სკოლის ნივთიერი სიღარიბე გაორკეცებულად ემჩნევა სპეციალურ სკოლას. ეს ერთი.

მეორე—სპეციალურ სკოლას სრულებით არა ჰყავს ჯერ ამ სკოლის საჭიროებისათვის მომზადებული მასწავლებელი. აქ ასწავლის შემთხვევით რომელიმე ინჟინერი, რომელსაც, მართალია, აქვს შესაფერი სპეციალური ცოდნა, მაგრამ არა აქვს სპეციალური პედაგოგიური მომზადება; ასწავლის სასამართლოს რომელიმე მოხელე, რომელიც შედის სასწავლებელში კვირაში ორჯერ ან სამჯერ და მას სრულებით ვერ შეუთვისებია სასწავლებლის საჭიროებანი, ან კიდევ სპეციალური სკოლა იწვევს მასწავლებლებს საზოგადო სკოლიდან და იძულებულია დაუნიშნოს მათ სამაცდინოთ იმისთანა დრო, რომელიც ხშირად სრულიად შეუფერებელია პედაგოგიურის მხრივ ამა თუ იმ საგნისათვის. ამრიგად სპეციალურ სასწავლებლის კორპორაცია აჭრელებულია სხვა და სხვა ჯურის შემთხვევითი მასწავლებლებით; გულშემატკივარი თავის საკუთარი მასწავლებელი კი მას არ მოეპოვება.

შემდეგ უნდა აღინიშნოს, რომ პოლიტიკური ტენდენცია არ ასცდა აგრედვე სპეციალურ სასწავლებელს. ამ ტენდენციის წყალობით სპეციალურ სკოლის პროგრამებში შეტანილ იქმნა მრავალი იმისთანა „ღუმანიტარული“ საგანი, რომელსაც არავითარი კავშირი არა ჰქონდა ამა თუ იმ სასწავლებლის მიზანთან და პროგრამასთან; ამ საგნების შესწავლას ახალგაზრდობა ანდომებდა ბევრ დროს, მაშინ, როდესაც ეს დრო მეტად საჭირო იყო მოწაფეთათვის პრაქტიკულ სავარჯიშოთ სპეციალურ საგნებში.

ამ რიგად ჩვენ თვალწინ იშლება შემდეგი სურათი სპეციალურ სკოლისა როგორც რუსეთში საზოგადოდ ისე კავკასიაში და საქართველოში კერძოდ:

1. მთელი ნახევარი საუკუნე საზოგადო სკოლა უნუგეშო მდგომარეობაში იმყოფება და სრულებით არ უწყობს ხელს ხალხში სპეციალურ ცოდნის გავრცელებას;

2. სპეციალურ სკოლას არა ჰყავს შესაფერად მომზადებული და მუდმივი საკუთარი გულშემატკივარი მასწავლებელი:

3. პოლიტიკურ ტენდენციის გამო სპეციალურ სკოლის პროგრამებში შეტანილი მრავალი საგანი ზედმეტ ტვირთად აწევება მოწაფეებს;

4. ნივთიერი სიღარიბე აღრჩობს სპეციალურ სკოლას.

აქ ჩვენ აღვნიშნეთ ის ზოგადი ობიექტიური პირობები, რომელიც აბრკოლებდა სპეციალურ სკოლის წინსვლას და განვითარებას.

საჭიროდ მიგვაჩნია მივაქციოთ ყურადღება აგრედვე იმ განსაკუთრებულ პირობებს, რომელიც ხელს უშლიდა საქართველოში სპეციალურ სატეხნიკო და საპროფესიო ცოდნის გავრცელებას. ამას შემდეგ წერილში აღვნიშნავთ.

მიხეილ თაქთაქიშვილი.

## მარცვლეულობა საქართველოში

საქართველოს რესპუბლიკა დასახლებულია სულ მცირე სამი მილიონი მცხოვრებით, რომელთა გამოკვება ჩვენი სასოფლო მეურნეობისა და საგარეო ვაჭრობის მძიმე მოვალეობას შეადგენს. ყოველ შემთხვევაში იმის გათვალისწინება თუ რა გვაქვს ხალხის გამოსაკვებავათ და რა უნდა ვიზრუნოთ გარედან შემოსაზიდათ ჩვენს მუშაობას ამ მხრივ მეტ გარკვეულ სახესა და სასურველ კალაპოტს მისცემდა. ჯერ-ჯერობით აგეთი ცდა არ მომხდარა, თუ სათვალავში არ მივიღებთ ჩვენს ნაშრომს ამავე საგანზე „საქართველოს“ 1916 წლის მარტ—აპრილის ნომრებში გამოქვეყნებულს და მიწათ მოქმედების სამინისტროს მიერ დაწყებულ მუშაობას სულ უკანასკნელ ხანებში, რომელიც ჯერ სრულიათ გამოუქვეყნებელია. ჩვენი კვლევის დროს ორი მთავარი გარემოება გამოიჭრა მარცვლეულობის წარმოების საქმეში: პირველი ის რომ მარცვლეულობათა მოყვანის შესაძლებლობა წლიდინ წლამდე იზრდება, მატულობს, რაც მტკიცდება არა მარტო მოსავლის გადიდებით, რაც ცუდი მაჩვენებელი იქნებოდა, რადგან უფრო ატმოსფერულ პირობებზეა დამოკიდებული, არამედ უწინარეს ყოვლისა სახნავ-სათეს სივრცის ყოველ წლის გადიდებით. მეორე გარემოება ისაა, რომ სიმინდის მნიშვნელობა მარცვლეულობათა შორის თუმცა ძლიერ ნელა, მაგრამ მაინც კლებულობს. ქვემოყვანილ ნარკვევში ჩვენ შევჩერდებით ნორმალ წლების ვითარებაზე 1906—1912 წ.წ., რომ უფრო სწორი და შემთხვევათა ზეგავლენისაგან თავისუფალი შედეგები მივიღოთ. დავიწყოთ დასავლეთიდან.

სოხუმის ოლქში მარცვლეულობათა მოსავალი უდრიდა:

| წლები | მარც. საერთო მოსავალი | აქედან მარტო სიმ. იყო |
|---|---|---|
| 1907 | 6.903.200 ფ. | 6.796.500 ფ. |
| 1908 | 6.196.500 „ | 6.088.400 „ |
| 1909 | 8.573.400 „ | 8.433.300 „ |
| 1910 | 7.991.300 „ | 7.896.300 „ |
| 1911 | 3.506.400 „ | 3.472.600 „ |

ეს ციფრები მიწათმოქმედებისა და მიწათ მომწყობ მთავარ სამართველოს სტატისტიკურ გამოცემათაგან ნასესხები (1913 წლის გამოცემა) ეჭვს გარეშეა სრულს ჭეშმარიტებასთან ძალიან დაცილებულია, მაგრამ დაახლოვებითი წარმოდგენის შექმნისათვის საკმარისია, რომ ავიღოთ სტატისტიკური საშუალო ციფრები 1906-1910 წლებისათვის. მაშინ გამოვა, რომ აფხაზეთში ხსენებულ ხუთიოდე წლის განმავლობაში სულ მარცვლეულობათა მოსავლის რაოდენობა უდრიდა საშუალოთ 9.708.900 ფუთსა, ხოლო აქედან სიმინდისა კი—9.614 100 ფუთსა. მოყვანილ ცნობებით თუ ვიხელმძღვანელებთ და სრულ ციფრს ავიღებთ, გამოვა, რომ აფხაზეთი ნორმალ პირობებში იძლევა ca 10.000.000 (ათ მილიონ) ფუთ სიმინდსა, მით უმეტეს, რომ მოყვანილი ციფრები სინამდვილეს უფრო უკან რჩებიან, ვიდრე წინ ასწრობენ. მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ აფხაზეთს მეტის მოცემა არ შეუძლია, პირიქით ფრიათ სამწუხაროა, რომ ასეთი მდიდარი და ძალზე ნოყიერი ნიადაგი, როგორიცაა აფხაზეთში სრულიათ მოუვლელი, უპატრონოდ მიტოვებული და ამის გამო სრულიათ პრიმიტიული წესით, წვეტიან ჯოხით ჩიჩქნის საშუალებით „მუშავდება“, გუთან—სახნისი აფხაზეთის უმდიდრეს რაიონებშიც კი იშვიათი შემთხვევაა. აფხაზეთის გამოყენება ხალხის საკვებ მარცვლეულობათა გამრავლებისათვის, სათანადოთ სარგებლობა მისი ნოყიერი მიწებით გულისხმობს აფხაზეთში გუთანსახნისის და სხ. სამეურნეო ხელსაწყოთა შეზიდვისა და გავრცელების საჭიროების მყისვე დაკმაყოფილებას. ეხლა გადვიდეთ შემდეგ კუთხეზე, რომელსაც ძველი რეჟიმის დროს ქუთაისის გუბერნიას ეძახოდენ ე. ი. სამეგრელო-გურია-იმერეთზე, სადაც მოხნულ მოთესილი სივრცე უდრიდა დესიატინობით:

| წლები: | დესიატინა: |
|---|---|
| 1899 | 243.345 |
| 1900 | 232.983 |
| 1901 | 244.569 |
| 1902 | 246.765 |
| 1903 | 203.825 |

რადგან საშუალო მოსავალი დესიატინაზე 35 ფუთ სიმინდს უდრის ადვილია გამოანგარიშება თუ რამდენი სიმინდი მოვიდოდა დაახლოვებით აღნიშნულ წლებში. მაგრამ აქ გვინდა მკითხველის ყურადღება შევაჩეროთ შემდეგ გარემოებაზე. უდიდესი მიწის სივრცე მოდის ხომ 1902 წ. მაგრამ ეგ სივრცე კიდევ მეტი იქნებოდა, რომ დაწყებულ გაფიცვებსა და უამინდობას ხელი არ შეეშალა, ის უნდა ყოფილიყო არა ნაკლებ 276.975 დეს., როგორც გვაჩვენებს ცალკეული მაზრის უდიდესი სივრცენი რომ ავიღოთ მოყვანილ ხუთი წლის მანძილზე დამუშავებული. კიდევ უფრო საინტერესოა, რომ ოდნავათ მაინც იცვლება პროცენტული რაოდენობა სათესი მარცვლეულობისა. მაგ. 1899 წ. ქუთაისის მაზრაში სიმინდისათვის მოხნულ მოთესილი სივრცე უდრიდა—39.080 დეს. ე. ი. 93,37 პროც. მთელი მაზრის მოხნულ მოთესილ სივრცისას, ორიოდე წლის შემდეგ ე. ი. 1902 წ. იგივე პროცენტული რაოდენობა უდრიდა 89,9 პროცენტს ე. ი. სიმინდისათვის მიჩენილ სახნავ მიწის რაოდენობა 3,47 პროცენტით კლებულობს. ზუგდიდის მაზრაში, სადაც 1899 წელს მთელი 98,88 პროც. სახნავ—სათესი მიწისა სიმინდისათვის იყო მიჩენილი, 1902 წ. მოხნულ მოთესილ სივრცის რაოდენობა გაიზარდა მაგრამ სიმინდისათვის სივრცე კი შემცირდა შედარებით, მას ქონდა მხოლოთ 95,31 პროც. უფრო მკაფიოთ გამოიჭვივის სიმინდის ბრძოლა შორაპნის მაზრაში. აქ 1899 წ. სიმინდით მოთესილი სივრცე უდრიდა 83,5 პროც. მთელი მოხნულ-მოთესილ მიწის რაოდენობასთან შედარებით, 1902 წ. კი მხოლოდ 74,47°/₀. სიმინდი ამგვარათ ძალზე ნელა, მაგრამ მაინც თანდათან კარგავდა ადგილს სხვა მარცვლეულობასთან შედარებით, სახელდობრ პურთან. იმავ სამეგრელო-გურია-იმერეთის ე. ი. ქუთაისის გუბერნიის სურსათი შემდეგ წლებში იქნება:

მოხნულ მოთესილ სივრცის რაოდენობა დესეტინ.

| წლები | დესეტინა |
|---|---|
| 1904 | 213.059 |
| 1905 | 243.748 |
| 1906 | 241.340 |
| 1907 | 229.414 |
| 1908 | ? |
| 1909 | 228.481 |
| 1910 | 249.720 |
| 1911 | 233.676 |
| 1912 | 270.294 |

| | 1904 წ. | 1905 წ. |
|---|---|---|
| დაითესა სულ | 1.039,232 ფ. | 1.131,587 ფ. |
| აქედან სიმინდი იყო | 821.775 „ | 903.906 „ |

| | 1906 წ. | 1907 წ. |
|---|---|---|
| დაითესა სულ | 912.875 ფ. | 840 598 ფ. |
| აქედან სიმინდი იყო | 724.908 ფ. | 561.055 ფ. |

საინტერესოა გავითვალისწინოთ რა პროცენტულ განწყობილებაშია დათესილ სიმინდის რაოდენობა დათესილ მარცვლეულობათა მთელს ჯამთან. დათესილ სიმინდის პროცენტული რაოდენობა უდრიდა:

მთელს ქუთაისის გუბერნიაში:

| წლები | პროც. |
|---|---|
| 1904 | 79,09 |
| 1905 | 79,87 |
| 1906 | 79,40 |
| 1907 | 66,74 |

ცხადია, სიმინდის მდგომარეობა სასოფლო მეურნეობაში თუმცა ძლიერია და სჭარბობს ყველა სხვა მარცვლეულობათ, მაგრამ მაინც მერყევი შეიქმნა. მას მეტოქეობას წლიდან წლამდე პურეულობა უწევს. აბსოლიუტური ციფრები რომ ავიღოთ და სტატისტიკური საშუალო გამოვიყვანოთ, მივიღებთ ქუთაისის გუბერნიისთვის დაახლოვებით მთელ მარცვლეულობის მოსავალს, რომელიც უდრის ca 10 მილიონ 500 ათას ფუთს. აქედან სიმინდის მოსავალი იქნება ca 9.500,000 ფუთი.

ტიტე მარგველაშვილი.

(დასასრული იქნება)

## უცხო ქვეყნების ვალიუტა.

მოგვყავს ქ. გენუას ბირჟის დეკემბრის ვალიუტა, რომელიც ამოკრეფილია „Corriere Mercantjle“-დან

| ქვეყნები და ფულის ნიშნები. | იტალიურ ლირის პარიტეტი | კოტაჟი |
|---|---|---|
| ბელგია (ფრანკი) | 1 | 1.26 – 1.28 |
| დანია (კრონი) | 1.39 | 2.30 – 2.40 |
| საფრანგეთი (ფრანკი) | 1 | 1.23 – 1.24 |
| საბერძნეთი (დრახმა) | 1 | 1.86 – 1.92 |
| ინგლისი (სტერლინგი) | 25.22 | 48.50 – 48.55 |
| ნორვეგია (კრონი) | 1.38 | 2.60 – 2.70 |
| ჰოლანდია (ფლორინი) | 2.083 | 5 – 5.10 |
| შვეიცარია (ფრანკი) | 1 | 2 – 2.25 |
| ისპანია (პეზეტა) | 1 | 2.50 – 2.60 |
| შვეცია (კრონი) | 1 39 | 2.70 – 2.80 |
| შეერთებული შტატები (დოლარი) | 5 185 | 13.30 |
| არგენტინა (პეზო) ოქრ. | 5 | 13.60 – 13.70 |
| ბრაზილია (მილრეისი) | 1.68 | 3.80 – 3.90 |
| ჩილი (პეზო) | 1.89 | 2.40 – 2.50 |
| ურაგვაი (პეზო) | 5.36 | 13.40 – 13 55 |
| იაპონია (იენი) | 2,583 | 6.60 – 6.70 |
| ავსტრია (კრონი) | 1.05 | 0.08 – 0.10 |
| ბულგარეთი (ლევი) | 1 | 0.16 – 0.18 |
| ფინეთი (მარკა) | 1 | 0 36 – 0.40 |
| გერმანია (მარკა) | 1.235 | 0.26 – 0.30 |
| პოლონეთი (კრონი) | 1 | 0.18 – 0.22 |
| პორტუგალია (ესკუდო) | 5.60 | 4.80 – 4.90 |
| რუმინია (ლეი) | 1 | 0.40 – 0.45 |
| რუსეთი (მანეთი) | 2.66 | 0.23 – 0.28 |
| ოსმალეთი (ლირა) | 22.78 | 13 – 14 |

მოვაგონებ მკითხველებს, რომ ომის დაწყებამდე 1 ლირა უდრიდა 37½ კაპ.

სტამბა „ცხოვრება“ ... გამაშვილის შესახვევი №4.